№16(17) 26.04.1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ნომერში:

პირველად ეროვნული დროშით
ქართველ მოჭადრაკეთა ესპანური ტურნეს შესახებ
მე-4 გვერდი

შან-პიერ პაპენი
კაცი, რომელმაც გოლების გატანა ისწავლა
მე-5 გვერდი

დიდი შვედის დაბრუნება
გაამართლებს სამურაების სისტემა?
მე-5 გვერდი

ვეტერანი კმაყოფილია

ჩემპიონი კი ჩემპიონად რჩება
მე-8 გვერდი

დამფუძნებელი კონფერენცია

გასულ პარასკევს თბილისში, ჟურნალ—გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სააქტო დარბაზში გაიმართა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია. დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: ასოციაციის წესდების მიღება და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. წესდების პროექტის მოწონებული ვარიანტი მცირე შესწორებებით ერთხმად იქნება მიღებული. წესდების პირველივე თავში ნათქვამია, რომ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია (სსჟა) არის დამოუკიდებული, ნებაყოფლობითი, შემოქმედებითი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს პროფესიონალ სპორტულ ჟურნალისტებს. სსჟა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, თანამშრომლობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო შემოქმედებით კავშირებთან, სპორტულ და სხვა ორგანიზაციებთან.

კონფერენციაზე აირჩიეს სსჟა-ს პრეზიდიუმი 13 კაცის შემადგენლობით. ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულია ელგუჯა ბერიშვილი, ვიცეპრეზიდენტებად — თამარ ბალავაძე და თამაზ ხარაბაძე, მდივნად — ჯიმშერ ენუქიძე.

გია ახალაძის ფოტო

ეროვნული ჩემპიონატის VIII ტურის მატჩი: „შევარდენი-96“ — „სანავარდო“. ასე გავიდა მეექვსე გოლი სტუმართა კარში.

ბოლო მედალი

როცა გამოქვეყნდა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის გადაწყვეტილება გამოჰყოფოდა საკავშირო სტრუქტურებს, ნინო სალუქვაძე მაშინ გზად იყო ნორვეგიისკენ, სადაც უნდა გამართულიყო მსოფლიო ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში. მან ვერ გაიგო, რა მოხდა კონკრეტულად ჩვენს სპორტში და მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონატში. ოქროს მედალიც დაიმსახურა, ოღონდ გუნდურ პირველობაში, ხოლო პირადში პრიზიორთა სამეულში ვერ მოხვდა. ეს, ალბათ იყო ბოლო ჯილდო, რომელიც საქართველოს სპორტსმენმა დაიმსახურა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

ფინეთიდან მოსკოვში ჩამოსულ ნინოს უკვე ნათლად აუხსნეს საქმის ვითარება და იგი აღარ გაემგზავრა სეულში, სადაც მსოფლიო თასის გათამაშებაა დანიშნული.

ეს ფოტო 1988 წელს თბილისის აეროპორტშია გადაღებული, როცა ნინო სალუქვაძე სეულის ოლიმპიადიდან ორი მედლით დაბრუნდა.

მიდის თუ რჩება?

ხმა გავრცელდა, გიგა ნორაკიძე სოხუმის „ცხუმიდან“ მიდისო. ამ ცნობის დასაზუსტებლად გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დავუკავშირდით. როგორც იქ გვითხრეს, ბატონ გიგას „ცხუმის“ მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვების თაობაზე ფედერაციისთვის ოფიციალურად ჯერ არ მიუმართავს, თუმცა ხელმძღვანელობასთან წინასწარი საუბარი ჰქონია.

გიგა ნორაკიძე სოხუმის „ცხუმს“ შარშან ჩაუდგა სათავეში და სწორედ ამ გამოცდილი მწვრთნელის სახელს უკავშირდება ახალჩამოყალიბებული გუნდის წარმატებები ეროვნულ ჩემპიონატში.

იმედი

ოთხი წელიწადი იწურება, რაც ქართული ჭიდაობის შეჯიბრებაზე მიღებული მძიმე ტრავმის შემდეგ ლოგინს არის მიჯაჭვული ახალგაზრდა ქართველი ფალავანი გიორგი რთველიაშვილი. თბილისში და მოსკოვში გაკეთებულმა ოპერაციებმა შედეგი ვერ გამოიღო.

ასოციაცია „იყალთო XXI“ შუამდგომლობით აშშ-ს იუტას შტატის ქალაქ სოლტ-ლეიქ-სიტის სამედიცინო დაწესებულებამ („დასავლეთის სარეაბილიტაციო ცენტრი“) თავის თავზე აიღო გიგა რთველიაშვილის მკურნალობა, სპონსორობა კი ამერიკის ქართულმა ფირმა „ამირანმა“ იკისრა.

გიგა რთველიაშვილმა 1986 წელს მიიღო ძიუდოში საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის მოწმობა. დღეს გიგა უარს ამბობს ამ წოდებაზე: „მე მხოლოდ ასე შემიძლია გამოვხატო პროტესტი საბჭოთა სპორტის ფუნქციონერთა მიმართ, რომლებიც ყველა საშუალებას მიმართავენ, რათა შეაფერხონ ქართული სპორტის დამოუკიდებლად გასვლა საერთაშორისო სარბიელზე“.

გადასაჭრელია ერთი პრობლემა, კერძოდ გ.რთველიაშვილის აშშ-ში გასამგზავრებელი თანხის (დაახლოებით 50 ათასი დოლარი) შეგროვება.

ასოციაცია „იყალთო XXI“ და გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია თხოვნით მიმართავს წარმოებადაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, კერძო პირებს გ.რთველიაშვილის სამკურნალოდ გასამგზავრებლად გადარიცხონ ფული შემდეგ ანგარიშებზე:

მანეთები: ბლდანის რაიონის ბინსოცბანკი 000164101, ამავე რაიონის შემნახველი ბანკი 8323 / 0168. ბიორგი რთველიაშვილის ანგარიში №22587.

ვალუტა: საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკი. ინდექსი 380008, 9 აპრილის ქუჩა №5. მფო — 805227. ასოციაცია „იყალთო XXI“ ანგარიში — 67080494 /002 ბიორგი რთველიაშვილისთვის.

ბიორგი რთველიაშვილის აშშ-ში გამგზავრება დაგეგმილია 1991 წლის მაისის ბოლოსათვის.

P.S. „სარბიელის“ რედაქცია მადლობას უხდის ასოციაცია „იყალთო XXI“, ფირმა „ამირანს“ და გიგა რთველიაშვილის ბედით დაინტერესებულ ადამიანებს. ამავე დროს, იმედს გამოვთქვამთ, რომ ვალუტის ასეთი დეფიციტის მიუხედავად, ჩვენი საზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ გამოიჩენს გულმოწყალებას, გვერდში დაუდგება ავადმყოფს და საერთო ძალისხმევით მოხერხდება მისი დროულად გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მასალას გიგა რთველიაშვილზე გთავაზობთ მე-4 გვერდზე.

ზოგი რამ „სანავარდოზე“

სამტრედიის „სანავარდო“ მიმდინარე ჩემპიონატში „შეუმჩნეველი“ გუნდია. ის არც ლიდერობას ეპოტინება და არც აუტსაიდერთა შორის არის. გუნდის პრობლემებზე ვესაუბრეთ მწვრთნელს კახა ელაშვილს.

— გუნდის დღევანდელი მდგომარეობით კმაყოფილი არა ვართ. სეზონის წინ ჩვენგან რვა ფეხბურთელი წავიდა, ამას ისიც დაემატა, რომ როდესაც სხვა გუნდები უკვე დაკომპლექტებულნი იყვნენ, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვყავდა უფროსი მწვრთნელი. სადღეისოდ კონსულტაციებს გამოცდილი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა გვიწევს. იგი წმინდა საფეხბურთო საკითხების გარდა, დიდ ყურადღებას უთმობს დისციპლინას, ფეხბურთელებს მსაჯთან უბრალო შეკამათებასაც კი უკრძალავს. ალბათ რამდენჯერმე ამიტომაც მოვიდნენ თამაშის შემდეგ ჩვენთან მოწინააღმდეგე გუნდის ხელმძღვანელები და კორექტულობისთვის მადლობა გადაგვიხადეს. ძირითადად ადგილობრივ ფეხბურთელებთან ვმუშაობთ. მოვიწვიეთ მხოლოდ სამი ფეხბურთელი, ერთი მათგანი, ვიტალი ბრეგვაძე კრასნოდარიდან არის. დაგვიბრუნდა ვეტერანი დურმიშხან თვალაბეიშვილი. ჩვენი დიდი პრობლემაა სათადარიგოთა მოკლე სკამი. სამტრედიაში იყო მეორე ჯგუფში მოასპარეზე გუნდი, რომელიც დაიშალა. ჩვენ იქიდან დავიმატეთ ფეხბურთელები, მაგრამ ეს ცოტაა. დღეს კი სხვა გუნდებიდან მოთამაშეთა მოწვევა უკვე გვიანია, ყველას კონტრაქტი აქვს დადებული. ორიოდ სიტყვა მინდა ვთქვა ჩვენ გულშემატკივარზე. ისინი მონდომებულნი არიან. თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც ჩვენ სოჭში სეზონისწინა შეკრებაზე ვიყავით, იქაც ჩამოდიოდნენ, ესწრებოდნენ ვარჯიშებს, საკონტროლო შეხვედრებს, ყოველმხრივ მხარში გვედგნენ. სამწუხაროდ მათ იმედებს ჯერ ვერ ვუმართლებთ. ჩვენთვის დღეს მთავარია სახიფათო ზონაში არ მოვხვდეთ და ამისათვის სრული მობილიზება გვჭირდება. მომავალს კი იმედით ვუყურებთ.

„შევარდენი-06“ — „სანავარდო“ 7:1

ილია ბაბუნაშვილი

ეროვნული ჩემპიონატი

VII ტური

ქუთაისი — ალაზანი 1:0
ბათუმი — გურია 0:0
ცხუმი — იბერია 0:1
ოდიში — მარგვეთი 1:1
მერცხალი — სულორი 1:0
დილა — ამირანი 2:3
კოლხეთი — შევარდენი-06 3:0
სანავარდო — ივერია 0:0
მზიური — სამგურალი 0:0

VIII ტური

ალაზანი — სამგურალი 3:0
ივერია — მზიური 1:2
შევარდენი-06 — სანავარდო 7:1
ამირანი — კოლხეთი 0:0
სულორი — დილა 2:1
მარგვეთი — მერცხალი 2:1
გურია — ცხუმი 1:0
გორდა — ბათუმი 0:1
ქუთაისი — კოლხეთი-13 1:0
იბერია — ოდიში ?

VII ტურის მატჩი კოლხეთი-13 და გორდას შორის გადადებულია 8 მაისისათვის.

გათამაშების ცხრილი

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1.	იბერია (თბილისი)	7	5	2	0	16:4	17
2.	გურია (ლანჩხუთი)	8	5	2	1	7:4	17
3.	ბათუმი (ბათუმი)	8	4	2	2	10:7	14
4.	ოდიში (ზუგდიდი)	7	4	1	2	14:4	13
5.	ქუთაისი (ქუთაისი)	6	4	0	2	7:6	12
6.	ალაზანი (გურჯაანი)	8	4	0	4	10:11	12
7.	კოლხეთი (ხობი)	8	3	2	3	10:5	11
8.	ცხუმი (სოხუმი)	8	3	2	3	9:9	11
9.	სამგურალი (წყალტუბო)	8	3	2	3	6:7	11
10.	გორდა (რუსთავი)	7	3	1	3	9:6	10
11.	კოლხეთი-13 (ფოთი)	7	3	1	3	9:8	10
12.	დილა (გორი)	8	3	1	4	12:13	10
13.	მერცხალი (ოზურგეთი)	8	3	1	4	9:10	10
14.	მარგვეთი (ზესტაფონი)	8	3	1	4	9:12	10
15.	სულორი (ვანი)	7	2	3	2	8:9	9
16.	მზიური (სენაკი)	8	2	2	4	5:11	8
17.	სანავარდო (სამტრედია)	8	2	2	4	7:17	8
18.	შევარდენი-06 (თბილისი)	8	2	1	5	14:13	7
19.	ამირანი (ოჩამჩირე)	7	2	1	4	9:14	7
20.	ივერია (ხაშური)	8	2	1	5	4:14	7

ცხრილში გათვალისწინებული არ არის „იბერიასა“ და „ოდიშის“ შეხვედრის ანგარიში.

«აკადემიის» ექსპერიმენტი, «გელათის» ტრიუმფი!

შარშანდელმა ჩემპიონმა „აიამ“, სსრკ პირველობის მატჩები რომ არ გაეცდინა, იმერეთის გუნდებთან თამაშები ვადამდე გამართა, გაიმარჯვა და გათამაშების ცხრილსაც კენწეროში მოექცა. ახლა „აია“ გულხელდაკრეფილი ზის და 5 მაისს ელის, როცა თბილისის „მიმინოს“ სათამაშოდ უნდა ეწვიოს.

ამასობაში „აიას“ მდევრებს არ სძინავთ. საფიქრებელია, რომ იმთავითვე „ქუთაისის პირველი გუნდის“ მოთამაშეთა სანაშენედ დაარსებული „გელათი“ ამიერიდან სხვას კი აღარ გაუზრდის ძაგნიძის ბადალ ვარსკვლავებს, არამედ თავად ეცდება დიდების მოხვეჭას. მართლაც, მეორე ტურში „გელათი“ „ვაკეს ჩამოხდა“ და ამ სტადიონზე „მიმინოს“ სძლია. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის პირველი და მეორე ნახევრების მიჯნაზე ძნელაძის (10) ორი გოლით თბილისელები დაწინაურდნენ, საბჭოთა ჯარის ქართულ გუნდში თამაშით გამოწრთობილმა, აწი კი გელათელმა მაჩიტიძემ (10) მოედნის შუახაზიდან უმალ ორი საჯარიმო შეაგდო, მერე კი ჩვეული ხერხით — არეკნით თავისიანები დააწინაურა. მერე იყო და ქუთათურებმა შერკინებაში რვის ნაცვლად ათი კაცის მოწყობით მეტოქე მათს ლელოში შეათრიეს და მოგებაც გაინაღდეს.

რაკიღა იმერეთის მესამე გუნდი — ჭიათურისა ამ დღეს არ თამაშობდა, თბილისელებს შანსი მიეცათ, ცხრილში მისთვის გადაესწროთ. „მიმინომ“ ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა. არც სტუ-ელ „ყოჩებს“ სწყალობდა ბედი, რომლებიც წელს მომძლავრებულ „შევარდენს“ ერთობ უხალისოდ ეთამაშნენ.

მასპინძელმა, ანუ „შევარდენმა“ ეს მატჩი სადაგი დღისათვის უჩვეულოდ ადრე, ორ საათზე დანიშნა. კრიალა ცამ და კაშკაშა მზემ თამაშს დაღი დაასვა. მართალია, ხუთი ლელო გავიდა, მაგრამ შევარდენელი დვალის (14) გატანილის გარდა, ერთიც ვერ იყო იმ დონისა, ეროვნულ ლიგას რომ ეკადრება. ეტყობა, ჩემპიონატის სტარტზე გუნდები ფორმაში ჯერ ვერ შესულან. და მაინც, „შევარდენში“ დაბრუნებული კაპანაძისა (8) და ჯანელიძის (9), აგრეთვე „აკადემიიდან“ გადმოსული მოდებაძის (10) და შარშან უკვე „შემჩნეული“ სორდიას (7) და ნ.იურინის (15) ოსტატობით „შევარდენმა“ დამსახურებულად სძლია მეტოქეს, რომლის შემადგენლობაშიც ოდენ თათარიშვილისა (15) და ჯაფარიძის (14) გამოყოფა თუ შეიძლება.

„მიმინოსა“ და „ყოჩების“ შეფერხებით ისარგებლა ზოოვეტის „რაშმა“, რომელმაც „აკადემიას“ სძლია და მესამე ადგილზე გავიდა. საქვეყნოდ ცნობილ „კარდიფისნაირ“ ფორმაში გამოწყობილი „რაშები“ თამაშის მეტი წილი სჯობდნენ მეტოქეს. მათმა მოთამაშე-მწვრთნელმა, 43 წლის ცინცაძემ (10) მარჯვედ შენიშნა, „აკადემიის“ მცველი და ერთი გარემარბი „მაღალი“ ბურთის დაჭერაზე, ცოტა არ იყოს, მწყრალად რომ იყვნენ, და მათ სისტემატურად „ბომბავდა“. „აკადემიასაც“, რომელიც ამ გარდამავალ ჩემპიონატში ერთობ გაბედულ ექსპერიმენტს ატარებს და ხელოვნურად შუაზე გახლეჩილი შემადგენლობიდან ბუნებრივი გადარჩევის გზით სამომავლოდ ერთი ძლიერი გუნდის შექმნას ვარაუდობს, ამ წაგებით საჩემპიონო ოთხეულში გასვლის იმედი ფაქტიურად გადაეწურა.

„აკადემიის“ პირველმა გუნდმა ორი თამაში წააგო. ამდენჯერვე დამარცხდა ამერის ქველიგაში მოასპარეზე „მეორე აკადემიაც“, ოღონდ — უარესი ანგარიშებით. მეორე ტურში მათ სძლია „უნივერსიტეტმა“, რომელსაც თამაში უკანასკნელად 1990 წლის 29 მაისს ჰქონდა მოგებული. ახლა კი თავიანთი რექტორატისა თუ სპორტული ორგანიზაციების მიერ საფუძვლიანად მივიწყებულმა უნივერსიტეტელებმა ბურთაობითა და ნავარდით. მაინც იჯერეს გული და მეტოქეს ცხრა ლელო გაუტანეს: გოგიბერიძემ (13), წერელოვმა (14), ჯმუხაძემ (2) და თურქაძემ (6) — ორ-ორი, ჭუმბურიძემ (15) — ერთი.

ამ მოგებით „უნივერსიტეტი“ წამოეწია პირველ ტურში გამარჯვებულ „სამედიცინოსა“ და „რუსთაველ“, რომლებიც ამჯერად ბოლო წუთებზე დამარცხდნენ: „სამედიცინოს“ ბროლიძეს (10) მიერ გატანილი არეკნის წყალობით ფიზკულტურის ინსტიტუტმა მოუგო, რუსთაველ გუნდი კი თბილისში, „ივერიასთან“, ორჯერ დაწინაურდა, მაგრამ მასპინძლებმა, ვის რიგებშიც „ასოციაციაში“ შარშან მოთამაშე ექვსი ვეტერანი ასპარეზობს, მაინც გაიმარჯვეს.

რაგბის კავშირის ახალმა მდივანმა მიტო ჭურდობაძემ ბოლო დროს საქმე ისე დააყენა, რომ ლიხსიქით გამართული თამაშების ანგარიშებს პრესაცა და ტელევიზიაც სასწაულებრივ ოპერატიულად, თამაშის დღესვე გებულობენ. აი, ახლაც, დროულად შევიტყვეთ, რომ ჩოხატაურის „ჯანს“ (ჯანი ვაზის გურული ჯიში ყოფილა!) იმერის ქველიგაში მოასპარეზე ქუთაისის მეორე გუნდიც დაუმარცხებია და ქულათა მაქსიმუმით დაწინაურებულა.

(ტურის ანგარიშები იხილეთ მე-6 გვერდზე).

ზაალ გიგინეიშვილი

ეროვნული ლიგა

1. აია	3	3	0	0	65:14	12
2. გელათი	3	2	0	1	27:32	9
3. რაში	2	1	0	1	15:24	5
4. იმერეთი	2	1	0	1	32:56	5
5. შევარდენი	1	1	0	0	20:15	4
6. მიმინო	2	0	1	1	18:21	3
7. ყოჩები	2	0	1	1	21:26	3
8. აკადემია	2	0	0	2	9:19	2
9. ვესტა	1	0	0	0	0:0	0

ამერის ლიგა

1. ივერია	1	1	0	30:25	6
2. ფიზკ. ინსტ.	1	1	0	15:12	6
3. უნივერს.	1	0	1	46: 6	5
4. სამედიცინო	1	0	1	22: 6	5
5. რუსთავი	1	0	1	22:21	5
6. მეორე აკად.	0	0	2	0:65	2

იმერის ლიგა

1. ჯანი	2	0	0	35:18	8
2. სათაფლია	1	1	0	68:12	6
3. გელ. სკოლა	1	0	1	26:25	5
4. ფაზისი	1	0	1	16:60	5
5. აიეტი	0	1	1	18:22	3
6. ლილე	0	0	2	4:30	2

ტურის ანონსი:

ხვალ: ვესტა — ყოჩები (ვაკე, 17.00), უნივერსიტეტი — ივერია (ვარკეთილი, 13.00), ფიზკ. ინსტიტუტი — მეორე აკადემია (ვარკეთილი, 15.00), აიეტი — გელათის სკოლა.

ზეგ: აკადემია — მიმინო (სსი, 17.00), რუსთავი — სამედიცინო (მშენებელი, 17.00), ფაზისი — ჯანი, ლილე — სათაფლია.

პრიზიც ამას ჰქვია!

ამ ცნობის წაკითხვის შემდეგ, ალბათ ბევრი ინანებს, რომ დიდი ხანია დაივიწყა, ან სულ არ გაჰკარებია სტადიონს, დარბაზსა თუ უბრალოდ, სავარჯიშო ბილიკს, რომ გაეზარდა ღიპი და ერთი სართულის ავლისას დიდხანს ქოშინებს... ღირსსახსოვარ თარიღს, 26 მაისს საქართველოს სპორტის დეპარტამენტი აწყობს მასობრივ კროსს ვაკის სტადიონიდან თავისუფლების მოედნამდე (5კმ), და 40 წელს გადაცილებულ მონაწილეთა შორის საუკეთესო ჯილდოდ...ავტომანქანას მიიღებს. დაწესებულია სხვა ძვირფასი ჯილდოებიც (ოთხ ასაკობრივ ჯგუფში), მათ შორის „მოქმედი“ სპორტსმენებისათვის. დაგვეთანხმებით, ბედის ცდა ნამდვილად ღირს.



ვინ დაინახეს პირველი ვესტმინსტერის ხიდზე

გაზაფხული მარათონების დროა. უკვე ჩატარდა ბოსტონისა და როტერდამის სახელგანთქმული გარბენები. გასულ კვირას კი ლონდონის მარათონმა მიიპყრო მძლეოსნური სამყაროს ყურადღება.

ქალთა შეჯიბრებაში, ტემზის თავზე, ვესტმინსტერის ხიდზე მოწყობილ ფინიშთან პირველი მიიჭრა სახელგანთქმული პორტუგალიელი როზა მოტა, თან სახეზე ისეთი ხალისი ეტყობოდა, თითქოს 42 კილომეტრზე მეტი კი არ გაურბენია, ეს — ესაა ჰაიდ-პარკში უსეირნიაო. არადა, შედეგი მსოფლიო კლასისა აჩვენა — 2:26.14.

ვაჟთა გარბენში კი ხენსაცია მოხდა. ეს შეჯიბრება ძლიერი შემადგენლობით გამორჩეული არ ყოფილა, თუმცა კი ჰყავდა თავისი ფავორიტი — ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი, იტალიელი ჯელინდო ბორდინი, რომელსაც ორგანიზატორები, გამარჯვების შემთხვევაში დღემდე გაუგონარ ჯილდოს — 130 ათას გირვანქა სტერლინგს შეჰპირდნენ.

მაგრამ ბორდინმა ტემპს ვერ გაუძლო და დისტანცია მიატოვა. გამარჯვება, ყველასათვის მოულოდნელად, კემერო-ვოელმა იაკოვ ტოლსტოკოვმა მოიპოვა, თანაც ახალი საკავშირო რეკორდით — 2:09.17. გამარჯვებულთაგან თითოეულს 53 ათასი დოლარი (30 ათასი გირვანქა სტერლინგი) გადაეცა. სხვათა შორის, ლონდონის მარათონში გამოიყენეს სიახლეც; რათა ვინმეს დისტანცია „არ მოეჭრა“, ახალი საგანგებო სამკერდე ნომრები ზუსტად აღნუსხავდნენ მისი „პატრონის“ მიერ გარბენილ მანძილსა და იმას, თუ ტრასის რომელ მონაკვეთზე იყო სპორტსმენი.

ლეგენდად ქცეული ლეგენდა

1989 წელი. მამუკა და მიხეილ მესხები სპორტის სასახლეში მიშას საიუბილეო ტურნირის დროს.

გარდაიცვალა მიხეილ მესხი. ამ დანაკარგის სიმძიმეს მთელი სისრულით, ახლობლებისა და მეგობრების გარდა, ის შეიგრძნობს, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ქართველი ფეხბურთელის ჯადოქრობის სადარი ოსტატობა. მთელი საქართველო იყო მისი ქომაგი. მწვანე მინდორზე მესხის ერთი „გაელვებაც“ კი უდიდეს სიხარულს ანიჭებდა და უმალ მის მეხოტბედ აქცევდა ათასობით გულშემატკივარს. ნუ გვიწყენენ 60-იანი წლების ჩვენი შესანიშნავი ფეხბურთელები, მაგრამ ხალხი პირველ ყოვლისა მიხეილ მესხის თამაშის სანახავად აწყდებოდა სტადიონს და საათნახევრიანი სპექტაკლით მოხიბლული ტოვებდა მას. მიდიოდნენ და თან მიჰყვებოდათ შთაბეჭდილება, რომლის გახსენება დრომაც ვერ შეძლო.

მიხეილ მესხი თითქოს იმისთვის იყო დაბადებული, რომ ფეხბურთის მთელი სილამაზე წარმოეჩინა. უამრავი შოთამაშე გვიხახავს ჩვენს მთავარ სტადიონზე, ტელევიზიის წყალობით ხომ უცხოეთში გამართულ მატჩებსაც ვადევნებდით თვალს, მაგრამ მიშა მესხივით კოლორიტული, დიდი ნიჭითა და თამაშის საოცარი სტილით გამორჩეული ფეხბურთელი აღარ შეგვხვედრია. ყველასგან განსხვავდებოდა თითოეული მოძრაობით და, განსაკუთრებით, საოცარი ფინტებით, რომელთა მსგავსი აღარაფერი გვინახავს. „მესხის ფინტი“ ისევე დამკვიდრდა ჩვენს გონებაში, როგორც თვითონ დიდებული თამაში —ფეხბურთი.

თბილისელმა ჭაბუკმა, რომელსაც „დიდ სპორტში“ სახელგანთქმულმა 35-ე საფეხბურთო სკოლამ დაულოცა გზა, მსოფლიო აღიარებას მიაღწია, მაგრამ მისი ნამდვილი ფასი მხოლოდ ჩვენ, ქართველმა გულშემატკივრებმა ვიცით. დიდ ტალანტს ბევრი მოშურნეც ჰყავს. მით უმეტეს, რომ ამხელა იმპერიაში ამისთვის საკმარისზე მეტი საბაბი იყო (არც ჩვენში დააკლეს ხელი). საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელთა თითქმის გამუდმებულმა მცდელობამ, როგორმე რიგით შემსრულებლად ექციათ ბრწყინვალე ქართველი ფეხბურთელი, სრული კრახი განიცადა, თუმცა კი მაინც საგრძნობლად შეუშალა ხელი იმას, რომ მსოფლიოში ყველა გულშემატკივარს კარგად გაეცნო და საკადრისად დაეფასებინა მესხის უდიდესი ნიჭი (ალბათ გახსოვთ, მსოფლიოს ნაკრებში მიწვეული სათამაშოდ რომ არ გაუშვეს). თუმცა კი, ვისაც ერთხელ მაინც არგუნა ბედმა ენახა მიხეილ მესხის განუმეორებელი თამაში, ყოველთვის აღტაცებით გაიხსენებს მას.

მიხეილ მესხი ნაკრებთა შორის ევროპის თასის მფლობელი იყო და 64-ის იმ დაუვიწყარ შემოდგომის დღეს, ტაშკენტში, დიდად დაეხმარა თავის გუნდს გამარჯვებაში. თუმცა კი, ჩვენი ღრმა რწმენით, იგი ფეხბურთში არსებულ ნებისმიერ ჯილდოს, და ხებისმიერ ეპითეტს იმსახურებდა.

ლეგენდარული ფეხბურთელი ბოლომდე პირნათელი დარჩა თავისი საყვარელი თამაშის წინაშე, ხარობდა ნორჩების წარმატებით, როომლებიც თვით დიდ მესხთან სწავლობდნენ ფეხბურთის ანბანს და ფრთიანდებოდნენ.

და უცებ — მოულოდნელი, ტრაგიკული ცნობა. იგი ხომ სულ 54 წლისა იყო... ვინ არ იცნობდა, ვისაც გაეგონა მასზე, ვინც იცოდა და იცის ფეხბურთისა და მიხეილ მესხის ყადრი. ეს მეორე ეროვნული ტრაგედია ჩვენთვის, პირველი მაშინ, იყო როცა სხვათა „ხელშეწყობით“ ძალზე ნაადრევად დატოვა დიდი სარბიელი. ახლა კი დიდი ფეხბურთელი სამუდამოდ გამოგვეთხოვა.

მიხეილ მესხი უკვე ლეგენდაში გააგრძელებს სიცოცხლეს.

ყველანი თუ გავირჯებით



1991 წლის 9 აპრილს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობის ამბავი მოხდა — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. არ დააყოვნა საქართველოს სპორტის დეპარტამენტმაც — მეორე დღესვე გამოაცხადა, რომ გამოეყო საკავშირო სპორტს და ამიერიდან თვითონ იქნება ქართული სპორტის განმგებელი. ამ გაბედულ ნაბიჯს, რა თქმა უნდა, მივესალმები. რეალობად იქცა ის, რაზეც ქართული სპორტის წინა თაობები ოცნებობდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ დიდ საერთაშორისო სარბიელზე დამოუკიდებლად, საქართველოს სახელით გამოსვლა დამატებითი სტიმული იქნება ჩვენი სპორტსმენებისათვის. ამავე დროს იმათიც მესმის, ვინც შიშობს, რომ მოსალოდნელმა იზოლაციამ გარკვეულ პერიოდში შეიძლება შეანელოს სპორტული მოძრაობა საქართველოში. ამის საფრთხე, გულახდილად უნდა ვთქვა, უთუოდ არსებობს, მაგრამ რაკი ნაბიჯი გადავდგით, აწი უკან დახევა არ იქნება.

ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ ჩემს უმცროს კოლეგებს, ქართული სპორტის ახალი თაობის წარმომადგენლებს: დრომ განსაკუთრებული მისია დაგაკისრათ, თქვენ უნდა იყოთ დამოუკიდებელი ქართული სპორტის დესპანები და სწორედ ახლა გმართებთ დიდი შემართება და თავდადება, რათა შეინარჩუნოთ ოსტატობა და სპორტულ სამყაროს კიდევ ერთხელ დაუმტკიცოთ ჩვენი სპორტის დიდი პოტენციალი. გასაგებია, ოსტატობის ამაღლებას ასპარეზიც სჭირდება, მაგრამ თუ მოვინდომებთ, საერთო ძალისხმევით შეიძლება უახლოესი მომავლისთვის გამოინახოს ახალი კონტაქტების დამყარების, საერთაშორისო ტურნირებში დამოუკიდებლად მონაწილეობის გზები.

როგორც ყოფილ მოჭიდავეს, ბუნებრივია, [illegible] საკუთრებით მაღელვებს ჩვენი ფალავნების ბედი. [illegible] საქართველოს არაერთი უმაღლესი კლასის მოჭიდავე ჭყ[illegible] [illegible]ალითად, ძიუდოისტთა ნაკრები ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს ნებისმიერი ქვეყნის გუნდს. ასეთი ნაკრების შექმნას წლები სჭირდება. იგივე ითქმის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებზე. ჩვენთან თანამშრომლობაზე არა მგონია ვინმემ უარი თქვას. ჭიდაობის ქართულ სკოლას შეუვალი ავტორიტეტი აქვს და ყველანი თუ გავირჯებით, მომავალშიც ასე იქნება.

ზარიბეგ ბერიაშვილი,

მსოფლიო და ევროპის ბრავალეგზის ჩემპიონი.

(გაგრძელება)

ასე თუ გავყვებით, პინგ-პონგი კონკრეტულად არაფერს ჰგავს და არაფერს გამოხატავს. ეს არც ქალაქის სახელწოდებაა, არც ადამიანის, რომელსაც შეეძლო გამოეგონებინა თამაში. პინგ-პონგი უფრო პატარა ცელულოიდის ბურთის ხმას ჩამოჰგავს, ერთი დარტყმა რომ პინგს გამოსცემს, მეორე — პონგს.

ამბობენ, პინგ-პონგი „ლაუნ-ტენისიდან“ წარმოიშვაო, მაგრამ „ლაუნ-ტენისი“, პირველ ყოვლისა, მწვანედ აბიბინებულ მინდორს და მზიან ამინდს გულისხმობს, რასაც კაცი, სამწუხაროდ, მუდამ ვერც ინატრებს, განსაკუთრებით ბრიტანეთის კუნძულებზე. და აი, ჩოგბურთის მოყვარულებმა მარტივ და სწორ გამოსავალს მიაგნეს: წვიმიან ამინდში მინდვრიდან დარბაზს მიაშურეს, შესაბამისად შეამცირეს ზომები და მოედანი მაგიდით შეცვალეს.

ერთი შეხედვით მართლაც ასეა: დარბაზში ჩოგბურთი მხოლოდ გარეგნულად იცვლის სახეს: მცირდება ზომები ჩოგნის, ბურთის, ბადის. იცვლება სახელწოდებაც: ახლა იგი ჩოგბურთი აღარ არის, ახლა მას პინგ-პონგი ეწოდება, თუმცა... თამაშის არსი ისევ ის რჩება — ბურთი ისე უნდა გადაიყვანო მეტოქის ნახევარზე, რომ მისი მოგერიება შეუძლებელი იყოს.



პინგ-პონგი პირველად ბრიტანეთში გაჩნდა XIX საუკუნის მიწურულს. XX საუკუნის დასაწყისში ბერლინში უკვე არსებობდა სპეციალური კლუბი — „პინგ-პონგ-კაფე“, რომელშიც ერთიმეორის პარალელურად რვა სათამაშო მაგიდა იდგა. მაგრამ საუკუნის დასაწყისში პინგ-პონგი უფრო პრივილეგირებულთ კლუბების ცხოვრების ღანამატი იყო, ვიდრე ნამდვილი სპორტის სახეობა. ეს, სხვათა შორის, მოთამაშეთა ჩაცმულობიდანაც ჩანდა: ქალები კლუბში და, მაშასადამე, პინგ-პონგის სათამაშოდ გრძელი, საღამოს კაბებით მოდიოდნენ, მამაკაცები კი — სმოკინგებში გამოწყობილნი.

მაგრამ პინგ-პონგი, როგორც თამაში, ერთ ადგილს არც მაშინ ტკეპნიდა. თავდაპირველად რეზინის ბურთებს ხმარობდნენ, მოგვიანებით — მსუბუქ და კარგად მოხტუნავე ცელულოიდის ბურთებს. პირველი ჩოგნები დამზადებული იყო ფანერისაგან და ორივე მხარეს რეზინის საფარი ჰქონდა დაკრული. დროთა განმავლობაში ხმარებაში შემოვიდა „სენდვიჩის“ ტიპის ჩოგნები (ღრუბლნარევი რეზინის საფარით), რომლებიც ცელულოიდის ბურთს ძლიერი დარტყმის შემდეგ დამატებით სიჩქარეს აძლევდა. ბურთი რომ მსუბუქი გახდა, ბუნებრივია, დარტყმის ძალამაც იმატა, ამან კი, თავის მხრივ, სათამაშო სივრცის გაზრდა მოითხოვა.

ადრე თამაშის ხანგრძლივობა მკაცრად რეგლამენტებული არ იყო. 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ფრანგი ჰაგენაუერისა დარუმინელ ჰილდბერგერის ორთაბრძოლა რვა საათს გაგრძელდა. შემდგომში, რათა ასეთი კურიოზი არ განმეორებულიყო, თამაშის ხანგრძლივობა ჯერ ერთ საათამდე შეამცირეს, მერე კი — ოც წუთამდე. ამჟამად მოქმედებს ე.წ. „12 დარტყმის წესი“, მაგრამ მას, ფაქტობრივად, აღარ იყენებენ. ყველაფერი გაცილებით ადრე მთავრდება, ვიდრე წესით არის გათვალისწინებული.

თანდათან საგრძნობი ტრანსფორმაცია განიცადა პინგ-პონგის ტექნიკამაც. თავდაპირველად არაფერი იყო ცნობილი მარცხენა დარტყმაზე. მის ნაცვლად რეკომენდებული იყო დარტყმა ჩოგნის უკანა მხრით. ამ ტექნიკური ილეთის უბადლო შემსრულებლად — [illegible]ბოდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონი, უნგრელი რ. იაკობი. ნელ-ნელა ჩოგბურთელები სულ უფრო მეტად დასცილდნენ მაგიდას და თამაშის აქცენტი მოედნის სიღრმეში გადავიდა. ამან გამოიწვია სპორტსმენთა თავისებური კლასიფიკაცია წმინდა წყლის „თავდამსხმელებად“ და „მცველებად“. განსაკუთრებით „ელასტიკური“ გახდა თამაში „მარცხენა დარტყმის“ შემოღების შემდეგ. შეტევის დაგვირგვინების ამ ეფექტურ და, ამავე დროს, ვერაგ ხერხს ბრწყინვალედ ფლობდა მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი, ინგლისელი ვ. ბარნა.

60-იან წლებში მაგიდის ჩოგბურთში მთელი გადატრიალება მოახდინა „ტოკიოს ბურთმა“ — ზემოდან მოჭრილმა დარტყმამ. ეს ილეთი განსაკუთრებით ეფექტური იყო „სენდვიჩის“ ტიპის ჩოგნით მოთამაშეთა არსენალში.

„ტოპ სპინმა“ — ასე უწოდეს შემდგომში ამ დარტყმას — მაგიდის ჩოგბურთი უფრო რთული, სწრაფი და საინტერესო თამაში გახადა.

ათიოდე წლის შემდეგ პინგ-პონგი კიდევ ერთი სიახლით გამდიდრდა. ოღონდ ეს-უკვე ტექნიკური სიახლე იყო — ჩოგნის საფარი „ანტი-ტოპ სპინი“. პირველ ხანებში ასეთი ჩოგნები მეტოქის დარტყმების ეფექტური მოგერიებისათვის გამოიყენებოდა, მერე კი შეტევის მძლავრი საშუალება გახდა.

საქართველოში მაგიდის ჩოგბურთი პირველად ამ საუკუნის 20-იან წლებში შემოვიდა. ინვენტარის სიმცირის გამო პინგ-პონგს თამაშობდნენ სასკოლო მერხებზე, სახაზავ დაფებზე, სასადილო მაგიდებზე. მაგრამ საბჭოთა სპორტის იდეოლოგებმა ეს თამაში (კრივის მსგავსად) მუშათა კლასის დამთრგუნველ, მავნე გართობად მიიჩნიეს და აკრძალეს (მაშინ ფართოდ იყო გავრცელებული გამოთქმა, რომ პროლეტარმა პროლეტარი არაფერში უნდა დაჩაგროსო). 30-იან წლებში ამ აკრძალვას თეორიული დასაბუთება მოუძებნეს: პინგ-პონგი აზიანებს მხედველობას, უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და მუშათა კლასის ყურადღებას ადუნებსო.

მაგიდის ჩოგბურთი ჩვენში ხელახლა ომის შემდეგ, 50-იან წლებში შემოვიდა. პატარა ჩოგნის შეუდარებელ ოსტატად საქართველოში დიდხანს ითვლებოდა ბათუმელი სარქის სარხოიანი...

მშვილდოსნობა

მშვილდსთან და ისართან დაკავშირებით მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში წარმოშობილი მრავალი ლეგენდა და თქმულება არსებობს. ყველაზე ძველი და, ამავე დროს, კაცობრიობისთვის ცნობილი მშვილდოსანი ალბათ რომაელთა ღმერთი კუპიდონი იყო, რომლის საღმრთო მოვალეობას ორი მოსიყვარულე გულის ერთმანეთთან დაკავშირება შეადგენდა. ამ მიზნისთვის კუპიდონი (ბერძნული მითოლოგიით — ეროსი), რომელიც რომაელებს თმახუჭუჭა ფრთოსანი ბიჭუნას სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, ისარს იყენებდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი

ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲢᲣᲠᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ჩვენს სახელოვან დიდოსტატ ქალებს ბოლო ხანს დიდოსტატმა ვაჟებმაც აუბეს მხარი და ახლა სულ უფრო მოგვდის მოჭადრაკეთა დიდი შეჯიბრებებიდან ჩვენი თანამემამულეების წარმატების ამბავი.

ალბათ დამეთანხმებით, რომ მათთან შეხვედრებით და საუბრებით განებივრებულნი არა ვართ, რადგან მუდამ მოუცლელები არიან, ცხადია, ინტერვიუსათვის დროც აღარ რჩებათ. როგორც იქნა, თავისუფალ დროს შევხვდი და ვესაუბრე ახლახან ესპანეთის ტურნედან დაბრუნებული ორი მოჭადრაკეს: საერთაშორისო დიდოსტატ **ზურაბ აზმაიფარაშვილს** და საერთაშორისო ოსტატს **გია გიორგაძეს.** თუმცა ჩვენი საუბარი მხოლოდ ესპანეთის ტურნეთი არ შემოფარგლულა.

— 10 აპრილს საქართველოს სპორტის დეპარტამენტში გამართულ საგანგებო თათბირზე ითქვა, რომ საქართველოს წარმომადგენლები აღარ მიიღებენ მონაწილეობას საკავშირო ჩემპიონატებსა და პირველობებში, აღარ გამოვლენ საბჭოთა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. თქვენი აზრით, როგორ წარმართება ამირიდან საქართველოს საჭადრაკო ცხოვრება?

ზურაბ აზმაიფარაშვილი: მინდა მოგახსენოთ, რომ შეიქმნა ქართველ პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტადაც ერთხმად ავირჩიეთ მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე. ასოციაციას დიდი გეგმები აქვს. მისი მიზანია საქართველოში საჭადრაკო მოძრაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლა, პროფესიული დონის ამაღლება და ასე შემდეგ. ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მართალია, საგარეო კონტაქტების ხელახლა დამყარება დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ პატარა ხელჩასაჭიდი უკვე გვაქვს, მაგალითად, ესპანეთში გვიცნობენ არა როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს,არამედ როგორც ქართველ მოჭადრაკეებს. კარგი იქნება, თუ ჩვენი საქმიანობით დაინტერესდებიან სხვადასხვა ორგანიზაციები და სპონსორობას გაგვიწევენ. დღეისთვის ჭადრაკი საქართველოში ყველაზე განვითარებული და პოპულარული სახეობაა. იგი არ უნდა დავაქვეითოთ, პირიქით, ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ.

ფიდე-ს არ სურს ცნოს სსრკ-ში შემავალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, მაგრამ ახლა მოსკოვში საკმაოდ მძიმე ვითარებაა, ვფიქრობ, ფიდე-ს პრეზიდენტი დათმობაზე უნდა წავიდეს, მით უმეტეს, გარი კასპაროვი ჩვენ გვიჭერს მხარს. ჩვენს აღიარებას, დიდი დრო არ დასჭირდება, ეს საკითხი შეიძლება შემდეგ ოლიმპიადაზე, წლეულსვე გადაწყდეს.

ᲒᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ: როგორც ზურაბმა აღნიშნა, უფლება ახლა მეტი გვაქვს, მაგრამ უფლებასთან ერთად მოვალეობაც იზრდება. უნდა ვეცადოთ ღირსეულად გამოვიდეთ საერთაშორისო ასპარეზზე. მთავარი იდეა ჩვენი ასოციაციის ჩამოყალიბებისას ის იყო, რომ გვინდოდა შექმნილიყო მოქნილი ორგანო, რომელიც პროფესიონალი მოჭადრაკეების ინტერესებს დაიცავდა. ასოციაციის წესდებაში მითითებულია, რომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ საქართველოს პერსპექტიულ მოჭადრაკეებსა და დამსახურებულ მწვრთნელებს, ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ქართული ჭადრაკის განვითარებაში, მაგრამ დღეს მატერიალური თუ სხვა პირობები არ უწყობს ხელს საქმიანობის ნაყოფიერად გაგრძელებისათვის. ასოციაცია საქველმოქმედო მიზნებსაც ისახავს, მაგალითად, განზრახულია აქვს რაიონებიდან პერსპექტიული მოჭადრაკეების ჩამოყვანა, მათი დახმარება და სხვა. მოკლედ მიზნები და ამოცანები დიდია. მომავალს იმედის თვალით შევყურებთ. ვიმედოვნებთ, რომ გამოჩნდებიან დაინტერესებული ორგანიზაციები, რომლებიც სპონსორობას გაგვიწევენ. სხვათა შორის, წესდებაში არის მუხლი, რომლის მიხედვითაც ჩვენს სპონსორს შეუძლია გახდეს ასოციაციის საპატიო წევრი და მონაწილეობა მიიღოს ყოველგვარი საკითხის გადაწყვეტაში.

— ახლა, თუ შეიძლება, ესპანეთის ტურნეს შესახებ გვიამბეთ.

ზურაბ აზმაიფარაშვილი: ჩვენი ტურნე ესპანეთში ქალაქ პამპლონიდან დაიწყო, სადაც გაიმართა მატჩი საქართველოსა და ბასკეთის გუნდებს შორის ხუთ ტურად. სამართლე გითხრათ, მატჩი დიპლომატიური ეშმაკობის შედეგად მოეწყო. თავის დროზე, თურმე, ესპანელებს, კერძოდ, ბასკეთის წარმომადგენლებს საბჭოთა კავშირის ნაკრებთან სურდათ შეხვედრა. იმ დროს ბასკეთში იყო დიდოსტატი ელიზბარ უბილავა. სწორედ მას შესთავაზეს დაკავშირებოდა საბჭოთა ნაკრებს და იქ ჩაეყვანა. ელიზბარი, რა თქმა უნდა პირველ ყოვლისა ჩვენ დაგვიკავშირდა. ბასკებმაც უარი აღარ გვითხრეს მიღებაზე! საქართველოს გუნდის შემადგენლობაში ვიყავით: მე, ელიზბარ უბილავა, გენადი ზაიჩიკი, გია გიორგაძე, ლაშა ჯანჯღავა. პამპლონაში გამოკრული აფიშები ხალხს აუწყებდნენ, საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩამოდისო. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნით, მეორე დღესვე ყველაფერი შეცვალეს და უკვე ყველგან მიუთითებდენ, რომ საქართველოდან ვიყავით. რაც შეეხება მატჩს, გავიმარჯვეთ ანგარიშით 18:7 (პირადად მე ხუთივე შეხვედრა მოვიგე). ბასკეთის ცენტრალურ გაზეთში დაიბეჭდა დიდი სტატია, რომელიც დაახლოებით ასე მთავრდებოდა: „მართალია, წავაგეთ 7:18, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი საუკეთესო და წამყვანი ნაკრებია მსოფლიოში“.

პამპლონიდან გადავინაცვლეთ სანსებასტიანში, სადაც საერთაშორისო ტურნირში ვითამაშეთ. ამ შეჯიბრებაში 140 მოჭადრაკე მონაწილეობდა (ტარდებოდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად), მონაწილეთა შორის იყვნენ დიდი პოლგარები. როდესაც პირველ ტურში სათამაშოდ დავჯექი, ვხედავ, მაგიდაზე წითელი დროშა მიდგას, ზედ ერთი დიდი და რამდენიმე პატარა ვარსკვლავი ხატია. მოკლედ, შეეშალათ და... საბჭოთა კავშირის მაგიერ ჩინეთის დროშა დადგეს. მე ეს დროშა ავიღე და ორგანიზატორებს ეუთხარი, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ საქართველოს დროშას მოიტანთ; თუ ამას ვერ მოახერხებთ, მაშინ, უბრალოდ, საქართველო დაწერეთ-მეთქი. მასპინძლებმა მაშინვე გამოგვკითხეს, როგორი იყო ჩვენი დროშა. ავუხსენით და დავუხატეთ კიდეც. მალე შეჯიბრება ხუთივემ საქართველოს დროშით განვაგრძეთ.

ახლა რაც შეეხება თვითონ ტურნირს, შეჯიბრება ყველამ კარგად დავიწყეთ, მხოლოდ ლაშა ჯანჯღავას მოეცარა ხელი. ბოლო ტურში იუდით პოლგარს ვხვდებოდი. ეს შეხვედრა უნდა მომეგო, ისე პირველ ადგილს ვერ გავიყოფდი. იოლად გავიმარჯვე. იუდითი თითქოს შებოჭილი მეთამაშებოდა.

ბოლოოდ 7-7 ქულით I-VII ადგილები გავიყავით მე, გია გიორგაძემ, ელიზბარ უბილავამ, გენადი ზაიჩიკმა, დამლიანოვიჩმა (იუგოსლავია), ჭეკტორმა (შვეიცია) და ჟუჟა პოლგარმა (უნგრეთი). კოეფიციენტთა ცხრილით პირველი ადგილი გია გიორგაძეს მიეკუთვნა, მეორე მე მხვდა, ხოლო მესამე — ელიზბარს, ოდნავ წაიფორხილა ლაშა ჯანჯღავამ, მან 6 ქულა დააგროვა.

ᲒᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ: მე ისევ პამპლონიდან მინდა დავიწყო. უნდა ითქვას, ელიზბარ უბილავას დიდი დამსახურება მიუძღვის ამ მატჩის მოწყობაში. იგი ბრწყინვალედ ფლობს ესპანურ ენას და ყველა საკითხის გადაწყვეტაში დახმარებას გვიწევდა. თვითონ ორგანიზატორებმაც დიდი ყურადღება გამოიჩინეს ჩვენს მიმართ. მატჩის დახურვაზე ბასკეთის გუნდი საქართველოში მოვიწვიეთ. აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩვენს წინადადებას. ვფიქრობ, ელიზბარ უბილავა ამ საქმის ორგანიზებასაც ითავებს.

რაც შეეხება სან-სებასტიანის ტურნირს, იგი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. პირველ სამ ადგილზე ქართველები გავედით.

საინტერესო იყო ბლიც-ტურნირიც, რომელიც ძირითადი შეჯიბრების დახურვის წინ შედგა. ამ ბლიც-ტურნირში ასამდე მოჭადრაკე მონაწილეობდა, რვა უძლიერესმა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ამ ჯგუფში ვიყავით: ზურაბ აზმაიფარაშვილი, ელიზბარ უბილავა, ლაშა ჯანჯღავა, იუდით და ჟუჟა პოლგარები (ორივე-უნგრეთი), კომლიანოვიჩი, დამლიანოვიჩი (ორივე-იუგოსლავია) და მე. ფინალურ ეტაპზე ზურაბმა შესანიშნავად ითამაშა. მან დები პოლგარებიც დაამარცხა და ხუთნახევარი ქულა დააგროვა, მეორე ადგილი ხუთი ქულით იუდითს ერგო.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ესპანეთის ტურნე დავასრულეთ ერთდროული თამაშის სეანსით, რომელიც მე და ელიზბარმა გავმართეთ მადრიდის ყველაზე პერსპექტიულ მოჭადრაკეებთან. მე, ყველას გასაოცრად, 8:0 მოვიგე. როცა ეს კასპაროვს ვუთხარი, მიპასუხა, ჩემს შედეგებს იმეორებო, მაგრამ მერე გაახსენდა — მე 7:0 მაქვს მოგებულიო.

— ბატონო ზურაბ, თქვენ უკვე რამდენჯერმე შეხვდით პოლგარებს. რას გვეტყოდით მათზე?

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ: დებში ყველაზე ძლიერი მაინც ჟუჟა მგონია. ის უფრო სტაბილური მოჭადრაკეა, უფრო დახვეწილი, ყველანაირ პოზიციაში შეუძლია თამაში. იუდითი ძალიან ნიჭიერია. თუ მან „თავისი“ პოზიცია მიიღო, მაშინ დამთავრებულია საქმე: ნებისმიერი რანგის მოჭადრაკეს მოუგებს. რაც შეეხება სოფის, ძალიან კარგი გოგონაა შესახედავადაც და ხასიათითაც, მაგრამ ჭადრაკის ნიჭით თავის დებს ჩამორჩება.

— თქვენ, ორივენი მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის მწვრთნელთა ბანაკში ხართ. გულშემატკივრებს, ცხადია, აინტერესებთ, რას იტყოდით ლინარესის სუპერტურნირზე და რით ახსნით კარპოვის „მარცხს“?

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ: დავიწყებ იმით, რომ კასპაროვი დამარცხდა ლინარესის სუპერტურნირზე. თუმცა მე ამას დამარცხებას ვერ ვუწოდებ იმიტომ რომ კასპაროვის მიერ ამ ტურნირში დაგროვილი ქულები შეესაბამებოდა მის რეიტინგს — 2800. ალბათ, მეტიც შეეძლო, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გარი ტურნირისთვის არ იყო მომზადებული. წინა დღეს მოსკოვში გამოვიდა დიდ მიტინგზე, მეორე დღეს კი შეჯიბრებაზე გაემგზავრა — პოლიტიკური ბრძოლის ველიდან უცბად გადაინაცვლა საჭადრაკო ბრძოლის ველზე. როგორც დედამისმა გვითხრა, გარის ტურნირზე წასვლა მხოლოდ ბოლო მომენტში გადაუწყვეტია. შესანიშნავად ითამაშა ვასილი ივანჩუკმა. კასპაროვი საუკეთესო ფორმაშიც რომ ყოფილიყო, ალბათ, მაინც დიდ კონკურენციას წაიწყებდა ივანჩუკის მხრიდან.

რაც შეეხება კარპოვის „მარცხს“, ამაზე ალბათ უმჯობესია გიამ თქვას რამდენიმე სიტყვა.

ᲒᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ: ჩვენ კომპიუტერზე ვაკვირდებოდით კარპოვის თამაშს. იგი გარკვეულ მომენტამდე ძალიან კარგად თამაშობდა, მაგრამ, ეტყობა, გადაღლილი იყო. პარტიის მიწურულს, სადაც ჩვეულებრივ ძლიერია, გაუგებარი შეცდომები მოსდიოდა. მაგალითად, ლიუბოევიჩთან მან ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ როცა საქმე უპირატესობის რეალიზაციამდე მივიდა, მოულოდნელად გაუგებარი სვლების გაკეთება დაიწყო. მაგრამ, ვფიქრობ, ეს დროებითია. კარპოვს ისეთი მებრძოლი ხასიათი აქვს, არ შეიძლება თავისი პოზიციები ასე ადვილად დათმოს.

აქვე მინდა კასპაროვზეც გითხრათ ორიოდე სიტყვა. იგი ძალიან კარგი პიროვნებაა. თითქოს რაღაც მწვერვალზე დგას და ჩვენ ქვემოდან ვუყურებთ მას, მაგრამ მუშაობისას ეს არ იგრძნობა. ამ დროს ჩვენ ყველანი თანაბარი პარტნიორები ვართ და ასე ვაანალიზებთ პოზიციას. დიდ სიამოვნებას მგვრის მასთან მუშაობა.

ესაუბრა
ᲕᲐᲡᲘᲚ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ.



გიგა ტატამზე

ᲘᲛᲔᲓᲘ

გიგა რთველიაშვილი — სარეცელს მიჯაჭვული 24 წლის ჭაბუკი.

მასზებვერი ითქვა და დაიწერა ქართულ პრესაში.

პირველი წერილი თავად გიგამ დაწერა და 1989 წლის 24 აგვისტოს — „ლელოში“ დაბეჭდა.

ერთდროულად სევდიანი და იმედიანი იყო ის წერილი.

გიგა დახმარებას ითხოვდა.

ის საბედისწერო შემთხვევა ორი წლით ადრე მოხდა — 1987 წლის გაზაფხულზე, მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში, ქართული ჭიდაობის ზეიმზე, ილეთი არ გამოუვიდა და ზურგით დაეცა ნახერხმოყრილ სარბიელზე. ხერხემალი დაუზიანდა. ტრამვა მეტად სერიოზული გამოდგა — მას შემდეგ ლოგინიდან არ წამომდგარა.

ასე გაიყო ახალგაზრდა კაცის ბიოგრაფია ორ ნაწილად. ვიდრე ასპარეზზე გამოდიოდა, სპორტმა არაერთი სიხარული მოუტანა. მარცხიც განუცდია, რა თქმა უნდა. სპორტში გამარჯვება და დამარცხება მუდმივი თანამგზავრნი არიან. ტრავმაც არ არის იშვიათი ამბავი. მაგრამ ტრავმას გაჩნია.

გიგა რთველიაშვილი ძეგველია. იქ აიდგა ფეხი, იქ დაიწყო ჭიდაობა. შაბათკვირა ისე არ ჩაივლიდა, სოფელში ჭიდაობა არ გამართულიყო. ვისაც მკლავი და მუხლი ერჩოდა, ნახერხმოყრილ საჭიდაოსთან იკრიბებოდა. გიგაც მათ შორის იყო და ტოლს არ უდებდა. უფროსები ამბობდნენ — ამ ბიჭს ვერავინ დაუდგება, ფალავნად არის დაბადებულიო. „ქართული ჭიდაობა განსაკუთრებით მიყვარდა, — ამბობს გიგა, — მერე ძიუდოში დავიწყე ვარჯიში, როცა საშუალება მეძლეოდა, ქართულსაც ვჭიდაობდი“.

ძიუდოს სექციაში ცამეტი წლისა მივიდა, აკაკი ნინაშვილთან ვარჯიშობდა. ძეგვიდან თბილისს ყოველდღე ჩამოდიოდა თბილისში. ზედიზედ მოიგო საქართველოს მოსწავლეთა პირველობა, მოსწავლეთა სპარტაკიადა და ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებაც მიიპყრო. 1985 წელს მოზრდილთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა, 86 კგ. წონით კატეგორიაში გამოდიოდა. მერე ჯარში გაიწვიეს. ვარჯიში იქაც არ შეუწყვეტია, რამდენიმე პრესტიჟულ ტურნირში გაიმარჯვა. მშობლიურ სოფელში რომ დაბრუნდა, სწორედ იმ დღეებში მოხდა ის საბედისწერო შემთხვევა.

ოთხი წელიწადი მიიწურა, რაც გიგა რთველიაშვილი ლოგინიდან არ წამომდგარა. ორი ოპერაცია გაუკეთეს — ერთი თბილისში, მეორე — მოსკოვში, ბურდენკოს ცნობილ ცენტრში. რვა თვე მოსკოვში იწვა, გამოცდილ ექიმს არკადი ლივშიცს ცდა არ დაუკლია, მაგრამ მკურნალობამ სასურველი შედეგი ვერ გამოღო. ეგ იყო, ნაწილობრივ ხელების მოძრაობა დაუბრუნდა. იქვე ურჩიეს საზღვარგარეთ გამგზავრება. გიგას არაერთმა კერძო პირმა თუ ორგანიზაციამ გაუწოდა დახმარების ხელი. მის სახლში სათუთად ინახავენ თანაგრძნობით, სიყვარულითა და იმედით სავსე წერილებს. მნახველთა ნაკადიც არ წყდება. „თითქმის ყოველდღე მოდიან, — მეუბნება გიგას დედა, ქალბატონი მანანა, — მოდიან ნაცნობებიც და სრულიად უცნობი ხალხიც. ვისაც რა შეუძლია, იმით გვეხმარება, მაგრამ მთავარი მაინც მორალური მხარდაჭერაა. ჩვენი ოჯახი არასოდეს დაივიწყებს ამ ადამიანებს.

გიგა რთველიაშვილის ზემოთ ნახსენებ წერილს ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ავჭალის კოლონია. სწორედ კოლონიის უფროსის მოადგილის ზაურ ებრალიძის მეცადინეობით ბანკში გაიხსნა სპეცანგარიში. გიგა მოინახულეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის წარმომადგენლებმა, სპორტსმენებმა და სპორტის მუშაკებმა. საქართველოს სპორტსახკომმა თავისი ფონდიდან რთველიაშვილის ოჯახს ბინა და ავტომანქანა გამოუყო. გიგას ყურადღებას არ აკლებს თბილისის სპორტკომიტეტიც, ჭიდაობის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ კი სტიპენდია დაუნიშნა.

თბილისი, ივანე პეტრიწის ქუჩა 14ა, IV სადარბაზო, II სართული, ბინა 65. ამ მისამართზე ცხოვრობს გიგა რთველიაშვილი. ახალი მისულები ვიყავით, გიგას ოთახში ათიოდე წლის თვალხატული გოგონა რომ შემოვიდა.

— ეს მაგდა კოტრიკაძეა, ჩვენი ახლობელი და მეზობელი, — ამბობს ქალბატონი მანანა, — დღეში ორჯერ-სამჯერ მაინც შემოივლის, გიგას თავს ევლება, ლექსებს უკითხავს. ორი ლექსი თვითონ დაწერა...

ჩვენი თხოვნით პატარა მაგდამ იქვე წაიკითხა საკუთარი ლექსები — რწმენითა და ოპტიმიზმით სავსე. მაგდა დარწმუნებულია, რომ მისი „პაციენტი“ მალე წამოდგება ფეხზე. გიგაც იმედითა და რწმენით ცოცხლობს: „ერთი თითიც თუ ამიმოძრავდა, მერე მე ვიცი. სხეულს ვერ ვფლობ, მაგრამ ვგრძნობ დიდ შინაგან ძალას“.

ძალა და მომავლის რწმენა ადამიანს ყველაფერს შეაძლებინებს!

ᲨᲝᲗᲐ ᲯᲣᲚᲣᲮᲐᲫᲔ



მაგდასთან ერთად

გია ახალაძის ფოტო

«საშხაპეში ბოლო შევდივარ»

ინგლისელები ლინეკერი და გესჭოინი, გერმანელები მათეუსი, კლინსმანი და ფიოლერი, იტალიელ ფეხბურთელთა მთელი „თანავარსკვლავედი“... სწორედ ისინი, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის გმირები კარნახობენ დღეს საფეხბურთო მოდას ევროპაში. მაგრამ გასულ რვა თვეში მოდის სხვა კანონმდებლებიც გაჩენილნენ. მათ შორის სპეციალისტებიცა და ჟურნალისტებიც ერთხმად ასახელებენ კაცს, რომელიც იძულებული იყო მსოფლიო ჩემპიონატისთვის ტელევიზორით ედევნებინა თვალი. ესაა ჟან-პიერ პაპენი, საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი, გუნდისა, რომელიც ფინალური ტურნირის მიღმა დარჩა.

27 წლის პაპენი, რომელმაც მიმდინარე სეზონში ყველა აღფრთოვანა მარსელის „ოლიმპიკისა“ და საფრანგეთის ეროვნული გუნდის მეტოქეთა კარში გატანილი ბრწყინვალე გოლებით, უდავოდ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია მოქცეული. მისი გადაბირება არაერთ კლუბს ანუზრახავს და პაპენის ახალ კონტრაქტებზე მითქმა-მოთქმასაც ბოლო არ უჩანს. ჩვენი საუბარიც სწორედ ამ თემით დაიწყო.



ჟან-პიერ პაპენი

—ამბობენ, თქვენ ერთ-ერთ იტალიურ კლუბში აპირებთ ძალების მოსინჯვას. მართლაც ასეა? საერთოდ რას ფიქრობთ ვარსკვლავთა მიგრაციაზე?

— ასეთი მიგრაციის გარეშე თანამედროვე ფეხბურთი უკვე წარმოუდგენელია. მე მიჭირს დღევანდელი „მარსელის“ წარმოდგენა ინგლისელი უოდლის, იუგოსლავიელი სტოიკოვიჩის, ბრაზილიელი მოზერისა და განელი პელეს გარეშე. ევროპის საუკეთესო კლუბები დიდი ხანია ინტერნაციონალურები გახდნენ. იტალიის ჩემპიონატი აიღეთ — ეს, ფეხბურთელთა შემადგენლობით ხომ ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონატია. მე სულაც არ მიკვირს, რომ საუკეთესო ფეხბურთელები სწორედ იტალიაში არიან თავმოყრილი — სხვაგან ხომ არსადაა შექმნილი მსგავსი პირობები, მათ შორის — ფინანსურიც! ამას თუ დაუმატეთ გულშემატკივართა ფანატიკური სიყვარული და მთავრობის მხარდაჭერა, მაშინ თქვენთვის ნათელი გახდება რატომაა მსოფლიოს საფეხბურთო დედაქალაქი პარიზის ნახევარკუნძულზე. მიუხედავად ამისა მე არ ვისწრაფვი იქით, თუმცა რამდენიმე იტალიური კლუბისგან მივიღე მოწვევა. საქმე ისაა რომ „მარსელში“, რომელთანაც კონტრაქტი 1995 წელს მითავდება, მე ჩემი ოცნების გუნდი ვიპოვე.

— „მარსელის“ ოცნება კი ჩემპიონთა თასია, რომელიც არც ერთ ფრანგულ კლუბს არ დაუსაკუთრებია. რამდენად რეალურია თქვენი შანსები?

— ჯერ ერთი, კიდევ არ მოგვიპოვებია ფინალის საგზური. რა თქმა უნდა, მოსკოვში ჩვენ დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ და მარსელში მოპოვებულის წართმევის უნარი მხოლოდ რომელიმე „დიდ“ გუნდს შესწევს, მაგრამ მეორე მხრივ არ დაივიწყოთ, რომ „სპარტაკმა“ დაამარცხა „ნაპოლი“ და „რეალი“. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო გამარჯვება მადრიდში. და თუ მაინც წარმოვიდგენთ „მარსელს“ ფინალში, მე იქ პირველ რიგში „ცრვენა ზვეზდას“ არ ვისურვებდი მეტოქედ. იუგოსლავიელს ტექნიკური, შეუპოვარი, ფიზიკურად ჩინებულად მომზადებული გუნდი ჰყავთ. ვფიქრობ, მათი ეროვნული ნაკრებიც ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში.

— კიდევ რომელი ქვეყნის ნაკრებს დასახელებდით მათ გვერდით?

— პირველ რიგში გერმანიისა და საფრანგეთის გუნდებს, ასევე ინგლისის ნაკრებს. აი სად ვისურვებდი თამაშს, თუ ოდესმე „მარსელს“ დავტოვებ. ბრიტანული ფეხბურთი ყოველთვის მიზიდავდა. სხვათა შორის, თავის დროზე, სწორედ მე გავამახვილე „მარსელის“ ხელმძღვანელთა ყურადღება ინგლისელ ქრის უოდლზე.

— თქვენი კარიერა ფაქტობრივად ბელგიაში დაიწყო. იქ, „ბრიუგეს“ შემადგენლობაში, 1985 წელს 28 გოლი გაიტანეთ და ბელგიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდით. სწორედ მაშინ მოგაქციეს ყურადღება თქვენს საშობლოში...

— მე თავიდანვე მსაყვედურობდნენ მეტისმეტ ინდივიდუალობას. ამაზე ვპასუხობდი, რომ თავდამსხმელის ამოცანა გოლის გატანაა, მე თვითონ კი გოლები... არ გამქონდა და ამიტომ ჩემი არგუმენტები ჰაერში გამოკიდებულ სიტყვებად რჩებოდა. საკუთარი პრინციპების სისწორე მინდორზე, საქმეში უნდა დამემტკიცებინა.

— აწარმოებთ თქვენს შიერ გატანილი გოლების აღრიცხვას?

— არა. ამის საჭიროება არ არის. საფრანგეთში საფეხბურთო სტატისტიკა პოპულარულია. სპეციალურ გამოცემებსა და ცნობარებში ყოველთვის იპოვნით საჭირო ინფორმაციას ამა თუ იმ ფეხბურთელზე. ისე, შემიძლია გითხრათ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში პირველ, 1986-87 წლების სეზონში 13 გოლი გავიტანე, მომდევნო ჩემპიონატში 18 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. ეს ტიტული 1988-89 და 1989-90 წლების სეზონშიც შევინარჩუნე — 22 და 30 გოლი. მომდინარე სეზონშიც ვლიდერობ ბომბარდირთა შორის.

— თქვენ ბევრი გოლი გაგაქვთ და გასაკვირი არაა, რომ ხან მარკო ვან ბასტენს, ხანაც გერდ მიულერს გადარჩენენ. რას ფიქრობთ ამაზე?

— მართალია, ასეთი შედარება ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ორივე შემთხვევაში არაზუსტია. ვან ბასტენი თვითნაბადი ბომბარდირია, მას ჩინებული ფიზიკური მონაცემებიც აქვს და გოლის ალღოც, მე კი ყველაფერს უდიდესი შრომის ხარჯზე მივაღწიე. ბოლო დროს თავითაც ვიტან გოლებს, მაგრამ, რომ იცოდეთ, რა შრომა დამჭირდა, რათა ჩემი სიმაღლის მქონეს ამისთვის მომეღწია. დიდი ხანია ჩვეად მექცა ვარჯიშის მერე მინდორზე დარჩენა, 30-40 წუთის მანძილზე კარში დარტყმას ვამუშავებ და საშხაპეში ბოლო შევდივარ. რაც შეეხება მიულერს, მე არა მაქვს მისი განუმეორებელი გამჭრიახობა, საჭირო დროს საჭირო ადგილზე გაჩენის უტყუარი ინტუიცია.

— თქვენ უკვე 27 წლისა ბრძანდებით და საფრანგეთში უდავოდ №1 ფეხბურთელი ხართ, მაგრამ, უკაცრავად მოურიდებლობისათვის, საერთაშორისო არენაზე აღარება ჯერ ვერ მოგიპოვეთ. რატომ?

— ფეხბურთი კოლექტიური თამაშია. პელეს ვარსკვლავი ამობრწყინდა არა მარტო მისი უდიდესი ნიჭის წყალობით, არამედ მთელი ბრაზილიის ნაკრების ჩინებული თამაშის მეშვეობითაც, რომლის შემადგენლობაშიც 17 წლის ყმაწვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ისე არ გამიგოთ, რომ პელეს ვადრიდე ვაკვს, მაგრამ ჩემი კარიერის პირველი წლები ფრანგული ფეხბურთისა და ეროვნული ნაკრების კრიზისს დაემთხვა. წავიდა პლატინი და ყველაფერი თითქოს ერთ დღეში დაინგრა...

— მაგრამ დღეს პლატინი ისევ ნაკრებშია. ამჟერად მწვრთნელის თანამდებობაზე. გაქვთ ევროპული ფეხბურთის ელიტაში დაბრუნების იმედი?

— ვფიქრობ ჩვენ გვაქვს შანსი მომავალ წელს, შვეიცარიაში, კონტინენტის ჩემპიონის ტიტულისთვის ვიბრძოლოთ. შესარჩევ ჯგუფში საქმე მშვენიერად გვაქვს: 8 შესაძლებლიდან 8 ქულა! მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის კარგი ურთიერთდამოკიდებულებაა.

— რამდენადაც ცნობილია, თქვენ კარგ დამოკიდებულებაში ხართ არა მარტო პლატინისთან, არამედ „მარსელის“ მეპატრონე ბერნარ ტაპისუზეც.

— მე დიდ პატივს ვცემ ამ კაცს. მან „მარსელი“ ფაქტობრივად ნულიდან შექმნა.

— რას იტყვით ფრანც ბეკენბაუერზე? ერთ-ერთი ჟურნალისტის თქმით იგი დღეს „მოთამაშეებისთვის საუზმის მომზადებით“ უფროა დაკავებული ვიდრე გუნდის მომზადებით.

— ჯერ ერთი ჩვენს კლუბში საუზმეს მზარეული ამზადებს. მეორეც, ბეკენბაუერს ტექნიკური დირექტორის თანამდებობა უკავია და მწვრთნელები, მოთამაშეებზე რომ აღარაფერი ვთქვა, დიდი ყურადღებით ისმენენ მის ყოველ სიტყვას. რაც შეეხება ფრანცის შედარებით წარუმატებლობას მწვრთნელად მუშაობისას, ჩემი აზრით ამის მიზეზი შემდეგშია: იგი გერმანიის ნაკრებში უკვე აწყობილ მექანიზმთან მუშაობას მიეჩვია, „მარსელში“ კი ასაწყობი სამუშაოს ჩატარება იყო საჭირო. თვით თამაშის მანერაც განსხვავებულია — ფრანგული ფეხბურთი უფრო ემოციური, იმპროვიზებულია. მისი შემცვლელი ბელგიელი რაიმონ გუტალსი ოპტიმალური კანდიდატურაა ამ პოსტზე.

— თქვენ საფრანგეთის ჩემპიონატში 19 გოლის გატანის შემდეგ ვეღარ აიღეთ მეტოქეთა კარი. ხომ არ გადაიღალა ბომბარდირი? ან, იქნებ მცველებმა გამონახეს ბოლოსდაბოლოს მისი „დაჭერის“ საშუალება?

— არა. ეს, უბრალოდ, მუხლის მცირე ტრავმით იყო გამოწვეული. გოლები კიდევ იქნება, ეს მხოლოდ დროის საკითხია...

უკვე ჩვენი საუბრის მერე, საფრანგეთის ჩემპიონატის პირველსავე მატჩში, როცა „მარსელმა“ ანგარიშით 6:2 დაამარცხა „ნანსი“, პაპენმა ჰეთ-თრიკი შეასრულა — 3 გოლი გაიტანა! ერთი ბურთიც ბოლო მატჩში შეაგდო და ახლა მის ანგარიშზე 23 გოლია.

პაპენი და მისი გუნდი აღმასვლას განაგრძობენ!

ვიქტორ გუსევი,
საკდენის კორესპონდენტი.
სპეციალურად „სარბიელისთვის“.

სამურაები ფარ-ხმალს არ ჰყრიან

ბიორნ ბორგი (ზევით)

დაიბადა **1956** წლის 6 ივნისს სედერტელიეში. სულ 18 წლისა იყო, როდესაც „დიდი სლემის“ ერთ-ერთი ტურნირი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი მოიგო. „როლან გაროს“ კორტებზე მან კიდევ ხუთჯერ იზეიმა გამარჯვება, მათ შორის ოთხჯერ ზედიზედ (1978-81 წლებში).

და მაინც ბორგის სპორტულ კარიერაში განსაკუთრებულ წარმატებად უნდა ჩათვალოს ზედიზედ ხუთი გამარჯვება ჩოგბურთის საკარიოში ყველაზე პრესტიჟულ — უიმბლდონის ტურნირში. ინგლისის ღია ჩემპიონატის 115-წლიან ისტორიაში ბორგზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს მხოლოდ უილიამ რენშოუს, რომელმაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ზედიზედ ექვსჯერ მოიგო თავისი ქვეყნის პირველობა.

ბორგმა ვერ იქნა და ვერ გაიმარჯვა აშშ-ის ღია ჩემპიონატში. ნიუ-იორკის კორტებზე იგი ოთხჯერ მივიდა ფინალამდე, მაგრამ ოთხჯერვე დამარცხებულმა დატოვა მოედანი.

ბიორნ ბორგი, რომელმაც დიდი სპორტი რვა წლის წინათ დატოვა, ახლა ისევ გამოვიდა კორტზე. თანაც გამოვიდა არა უბრალოდ წასავარჯიშებლად, არამედ ყველაზე მაღალი ადგილებისთვის სპრძოლველად. სხელგანთქმული შვედი ჩოგბურთელი მონტე-კარლოს დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს.

სარბიელიდან წასვლის შემდეგ უიმბლდონის ხუთზის ჩემპიონმა და „როლან გაროს“ ტურნირში ექვსგზის გამარჯვებულმა წარმატებით სცადა ბედი ბიზნესის სამყაროში და გვარიანი ქონება დაგროვა. მაგრამ მალე ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. მამაკაცის ტანსაცმლის ფირმა, რომელიც მის სახელს ატარებდა გაკოტრდა და ბორგი იძულებული გახდა დაეფარა სარჩელი 80 მილიონ დოლარზე. ამას დაემატა არეული პირადი ცხოვრებაც. ერთი-მეორეს მოჰყვა ორი განქორწინება. ასეთ ფსიქოლოგიურ სტრესებს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ბიორნის ხელიერ მდგომარეობაზე. ამბობდნენ, რომ იგი შვებას კოკაინში პოულობდა. ამას მოჰყვა იდუმალებით მოცული მოწამვლა, რომელიც ექსპერტებმა თავის მოკვლის მცდელობად მიიჩნიეს. ბორგი დიდხანს მკურნალობდა ჰოსპიტლებში, რასაც ცოტა ფული რიდი დასჭირდა. სახელგანთქმული ჩოგბურთელი ვალების გადასახდელად იძულებული გახდა გაყიდა სახლი სტოკჰოლმში და ბინა მონტე-კარლოში.

და მაინც ბედმა საბოლოოდ მაინც არ გასწირა. მის ცხოვრებაში ნათელი პერიოდი დადგა. თავად ბიორნი ამ გამონთებას თავის მესამე ცოლს — ცნობილ იტალიელ ხასტრადი მომღერალს ლორედანა ბერტეს უკავშირებს.

— მასთან შეხვედრის შემდეგ თითქოს მეორედ დავიბადე, — ამბობს ბორგი. — მან ხელახლა მომპრუნა ხიცოცხლისაკენ. ლორედანა ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს. ის არის ჩემთვის ყველაზე ერთგული ადამიანი. მე დიდად დავალებული ვარ მისგან.

ბორგის მესამე ცოლი, ლორედანა ბერტე

მართლაც, ბორგის ცხოვრებაში აშკარა გარდატეხა მოხდა. იგი დიდი ხანია სასმელს აღარ ეკარება, მკაცრად იცავს რეჟიმს. რაკი კორტზე დაბრუნება გადწყვიტა, ბიორნი ეს რვა თვეა ისეთი, შეიძლება ითქვას, გაშმაგებით ვარჯიშობს, როგორც ადრე, თავის საუკეთესო წლებში სჩვეოდა. ბორგი ვარჯიშობდა ხან მილანში, სადაც ახლა ცოლთან ერთად ცხოვრობს, ხან ლონდონში, „სამეფო კლუბის“ კორტებზე. ინგლისში მას ეხმარება თავისი ძველი მეგობარი პროფესორი ჩარლზ ტეტჩერი, სამურაების ფიზიკური მომზადების იაპონური სისტემის დიდი სპეციალისტი. პროფესორი ამბობს, რომ ბიორნის ფიზიკური მდგომარეობა პირდაპირ განსაცვიფრებელია მისი ასაკის სპორტსმენისათვის.

ბიორნი, რომელმაც ამ ხნის მანძილზე აღმოსავლური ხელოვნების ბრძოლის ხერხებიც შეისწავლა, ხშირად იმეორებს: „სამურაები ფარ-ხმალს არასდროს აყრიან. მათი სული მათს ხმეულთან ერთად კვდება“. ამ სიტყვებში ღრმა აზრია, მაგრამ ალბათ უფრო სწორი იქნება, ბორგის შესაძლებლობებზე მისი თამაშის მიხედვით ვიმსჯელოთ.

ბორგის პირველი ცოლი მარიანა სიმონესკუ (მარცხნივ) და მეორე — ჯენიკ ბიონდინგი

ტექნიკური შედეგები

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი. 19-21 აპრილი.

ეროვნული ლიგა. „შეევარდენი“ (სსი) 20 (10) (3ლ, 1გ, 2ს) — „ყოჩები“ (სტუ) 15 (6) (2ლ, 2გ, 1ს); „აკადემია“ 6 (3) (2ს) — „რაში“ (ზოოვეტი) 7 (4) (1ლ, 1ლ); „ბიმინო“ 12 (3) (1გლ, 1ს, 1ა) — „გელათი“ 15 (0) (1გლ, 2ს, 1ა).

ამერის ლიგა. „სამედიცინო“ 3 (3) (1ს) — ფიზკ. ინსტიტუტი 6 (3) (1ს, 1ა); „მეორე აკადემია“ 0 — „უნივერსიტეტი“ 46 (10) (3ლ, 5გ); „ივერია“ 21 (3გლ, 1ს) — „რუსთავი“ 16 (2ლ, 1გ, 2ს).

იმერის ლიგა. (14.IV. „ფაზისი“ (ონი) 16 — „ლილე“ (ლენტეხი) 4; „გელათის სკოლა“ 14 — „ლილე“ 0; „ჯანი“ (ჩოხატაური) 10 — „აიეტი“ (ქუთაისის უნივერსიტეტი) 6; „სათაფლია“ (წყალტუბო) 56 — „ფაზისი“ 0.

ინგლისის საგრაფოთა ჩემპიონატის ფინალი. თვიქნეში. 20 აპრილი. ქორნუოლი 29 — იორქშირი 20 (ძირითადი დრო 16:16). ქორნუოლელთა გუნდმა ფინალში ბოლო 83 წლის მანძილზე პირველად გაიმარჯვა.

მძლეოსნობა

საერთაშორისო გარბენი მარათონის ნახევარ დისტანციაზე — „სტრამილანო“ (მილანი). 21 კმ 97,5მ. 1. მოზეს ტანუი — 1:00. 50; 2. ენდრიუ მასაი (ორივე — კენია) — 1:01. 07; 3. არტურ დე ფრეიტაშ კა-შტრუ (ბრაზილია) — 1:01. 27.

ლონდონის მარათონი (მსოფლიო თასი). ქალები. 1. როზა მოტა (პორტუგალია) — 2:26. 14; 2. ფრენსის ლარიუ-სმითი (აშშ) — 2:27. 35; 3. ვალენტინა სმოროვა (სსრკ) — 2:28. 18. ვაჟები. 1. იაკოვ ტოლსტიკოვი (სსრკ) — 2:09. 17; 2. მანუელ მატიაში (პორტუგალია) — 2:10. 21; 3. იან ჭურუკი (პოლონეთი) — 2:10. 21.

როტერდამის მარათონი. ვაჟები. რობერტ დე კასტელა (სვსტრალია) — 2:09. 42. ქალები. იოკე კლეიუვეგი (ჰოლანდია) — 2:34. 18.

ჰანოვერის მარათონი. ვაჟები. მარკუ ადამსკი (პოლონეთი) — 2:15. 04. ქალები. ელენა ეგოროვა (სსრკ) — 2:36. 29.

ჰოკეი

მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი. კანადა — აშშ — 4:3; ფინეთი — ჩეხეთსლოვაკეთი — 2:0; სსრკ — შვეიცარია — 3:1; შვეიცა — გერმანია — 8:1; კანადა — შვეიცარია — 3:0; ფინეთი — შვეიცა — 4:4; გერმანია — სსრკ — 3:7; აშშ — ჩეხეთსლოვაკეთი — 4:1; კანადა — გერმანია — 3:2; სსრკ — ფინეთი — 3:0; ჩეხეთსლოვაკეთი — შვეიცარია — 4:1; შვეიცია — აშშ — 4:4; გერმანია — ჩეხეთსლოვაკეთი — 1:7; ფინეთი — კანადა — 3:5; შვეიცა — შვეიცარია — 4:3; აშშ — სსრკ — 2:12.

კალათბურთი

ჩემპიონატთა თასი. ვაჟები. ნახევარფინალი. „პოპ-84“ (ოუგოსლავია) — „სკავოლინი“ (იტალია) — 93:87. „ბარსელონა“ (სსპანეთი) — „მაქაბი“ (ისრაელი) — 101:67. ფინალი. „პოპ-84“ — „ბარსელონა“ — 79:85. მატჩი მესამე ადგილისთვის. „მაქაბი“ — „სკავოლინი“ — 83:81.

თანამედროვე ხუთჭიდი

ევროპის ჩემპიონატი. რომი. პირადი პირველობა. 1. ადამ მადარაში (უნგრეთი) — 5580 ქულა; 2. მაჩეი ჩიკოვიჩი (პოლონეთი) — 5468; 3. ლასლო ფაბიანი (უნგრეთი) — 5462. გუნდური. 1. უნგრეთი — 16442; 2. სსრკ — 16100; 3. დიდი ბრიტანეთი — 15515.

ველოსპორტი

ერთდღიანი რბოლა „ფლეშ ვალონი“. ბრიუსელი. 203,2კმ 1. მორენო არჭენტინი (იტალია) — 5:13.14. 2. კლოდ კრიკელონი (ბელგია) — 5:15. 34; 3. კლაუდიო ჯიაუჩი (იტალია) — 5:15. 46.

ერთდღიანი რბოლა ლიეჟი — ბასტონი — ლიეჟი. 267 კმ. 1. მორენო ანჭენტინი. — 7:15. 9; 2. კლოდ კრიკელონი; 3. როლფ სორენსენი (დანია). მათაც იგივე შედეგები.

ტყვიის სროლა

მსოფლიო ჩემპიონატი. ინდივიდუალური იარაღი. სტოკჰოლმი. ნორვეგია. ქალები. შაშხანა. 1. ეკა ფორიანი (უნგრეთი) — 499,5; 2. სვეტლანა სელედკოვა (სსრკ) — 496,8; 3. ვერა შტაბი (გერმანია) — 496,3. გუნდური. 1. სსრკ — 1184 (მსოფლიო რეკორდი); 2. უნგრეთი — 1184 (პირველი ადგილი მთ მეტოქეებს ბოლო სერიაში ნაჩვენები უკეთესი შედეგის გამო შეინიშნათ); 3. აშშ — 1177. პისტოლეტი. 1. მარინა ლოგვინენკო (სსრკ) — 488,3. გუნდური. სსრკ — 1149. ვაჟები. შაშხანით სროლა მოძრავ სამიზნეზე. 1. ლიუბოშ რაცანსკი (ჩეხეთსლოვაკეთი) — 675; 2. გენადი ავრამენკო; 3. ანდრეი ვასილიევი (ორივე — სსრკ) — მათ 669 — 669 ქულა მოაგროვეს. გუნდური. 1. სსრკ — 1716; 2. გერმანია — 17-02; 3. უნგრეთი — 1698.

ნახევარფინალი

მეორე ტური

ჩემპიონთა თასი

თასების თასი

უეფას თასი

„ცრ. ზვეზდა“ — „ბაიერნი“ 2:2 (2:1)
„მარსელი“ — „სპარტაკი“ 2:1 (3:1)

„მანჩესტერ იუნ.“ — „ლეგია“ 1:1 (3:1)
„იუვენტუსი“ — „ბარსელონა“ 1:0 (1:3)

„რომა“ — „ბრონდბიუ“ 2:1 (0:0)
„ინტერი“ — „სპორტინგი“ 2:0 (0:0)

«ახალი» ფინალისტები

„ცრვენა ზვეზდა“ — „ბაიერნი“ 2:2

მას შემდეგ, რაც ორი კვირის წინ „ცრვენა ზვეზდამ“ მიუნხენში „ბაიერნი“ დამარცხა, ბელგრადელების აქციები გაიზარდა. მიმომხილველთა აზრით, „ცრვენა ზვეზდას“ ფინალში გასვლის საკმაოდ კარგი შესაძლებლობა გაუჩნდა, მით უმეტეს, გუნდმა დაამტკიცა, რომ შესწევს უნარი ითამაშოს მაღალი დონის ფეხბურთი.

„ცრვენა ზვეზდამ“ განმეორებით მატჩშიც ძლიერად ითამაშა, მაგრამ გერმანელებმა მათ ტოლი არ დაუდეს, და მეტი იღბალი რომ ჰქონოდათ, ფინალში გასვლასაც კი მოახერხებდნენ. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს: პირველი ტაიმის მიწურულს მიჰაილოვიჩმა დაახლოებით 25 მეტრიდან, საჯარიმო დარტყმით მოათავსა ბურთი მეკარე აუმანის კარში. მეორე ტაიმში გერმანელებმა საპასუხო გოლი გაიტანეს: ბურთი აუგენტალერის უძლიერესი დარტყმის შემდეგ გავიდა. „ბაიერნმა“ იგრძნო, რომ ყველაფერი დაკარგული არ იყო და მთელი ძალებით გადავიდა შეტევაზე. მალე ბენდერმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1.

ამის შემდეგ თამაში ორმხრივი შეტევებით მიმდინარეობდა. ორივე გუნდს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ თავდამსხმელებმა რამდენიმე აშკარა მომენტი დაკარგეს. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ვოლფარტმა ბურთი კარის ძელს მოახვედრა. თითქოს ყველაფერი დამატებით დროს მოასწავებდა, მაგრამ მატჩის ბოლო წუთზე გერმანელებს ფორტუნამ ზურგი შეაქცია: იუგოსლავიელთა ერთ-ერთი შეტევის დროს მეკარე აუმანი ბურთის მოსაგერიებლ[illegible]ნტა, მაგრამ მოგერიების მაგივრად ბურთი საკუთარ კარში გაიტანა.

2:2 — ასე დამთავრდა ეს დაძაბული [illegible]ატჩი, რომელშიც ორივე გუნდმა კარგი ფეხბურთი უჩვენა 90 ათას მაყურებელს.

„მარსელი“ — „სპარტაკი“ 2:1

მეორე ნახევარფინალისგან განსხვავებით, ამ მატჩში ყველაფერი თავიდანვე იყო ნათელი: „სპარტაკი“ არ აღმოჩნდა „მარსელის“ ღირსეული მოწინააღმდეგე. ფრანგებმა ადვილად გაიმარჯვეს მოსკოვში და როგორც განმეორებითი მატჩის წინ განაცხადა რაიმონ გუტალსმა, „მარსელის“ მიზანი ფინალში გასვლა იყო და გუნდი ამ მიზნის მიღწევას ძალ-ღონის ზედმეტი დახარჯვის გარეშე აპირებდა.

ფრანგები მთელი მატჩის მანძილზე ფლობდნენ თამაშის სათავეებს. მასპინძელთა რიგებში, ისევე როგორც პირველ მატჩში, გამოირჩეოდა ინგლისელი ჭრის უოდლი. ორივე გოლი „სპარტაკის“ კარში უოდლის მონაწილეობით გავიდა. პირველი გოლი 30-ე წუთზე პელემ გაიტანა, ხოლო მეორე ბურთი მეორე ტაიმის დასაწყისში — ბოლიმ.

ამ გოლებმა გარკვეულწილად დაუწყნარა ნერვები ფრანგ ფეხბურთელებს. მათ გამარჯვებაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა. ამის შემდეგ „მარსელმა“ „სპარტაკს“ რამდენიმე სახიფათო შეტევის განვითარების საშუალება მისცა. ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს მასპინძლებმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე შმაროვი წააქციეს და მოსტოვოიმ ზუსტად დაარტყა თერთმეტმეტრიანი. საბჭოთა ფეხბურთელებს ამის შემდეგ კიდევ ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ მატჩის ბედი უკვე კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო — 2:1.

ფინალში, 29 მაისს, ბარიში ერთმანეთს შეხვდებიან „მარსელი“ და „ცრვენა ზვეზდა“. მათ საშუალება აქვთ თავიანთ ისტორიაში პირველად გაიმარჯვონ ევროპის საკლუბო ტურნირში.

„მარსელი“ — „სპარტაკი“ 2:1

მეორე ნახევარფინალისგან განსხვავებით, ამ მატჩში ყველაფერი თავიდანვე იყო ნათელი: „სპარტაკი“ არ აღმოჩნდა „მარსელის“ ღირსეული მოწინააღმდეგე. ფრანგებმა ადვილად გაიმარჯვეს მოსკოვში და როგორც განმეორებითი მატჩის წინ განაცხადა რაიმონ გუტალსმა, „მარსელის“ მიზანი ფინალში გასვლა იყო და გუნდი ამ მიზნის მიღწევას ძალ-ღონის ზედმეტი დახარჯვის გარეშე აპირებდა.

ფრანგები მთელი მატჩის მანძილზე ფლობდნენ თამაშის სათავეებს. მასპინძელთა რიგებში, ისევე როგორც პირველ მატჩში, გამოირჩეოდა ინგლისელი ჭრის უოდლი. ორივე გოლი „სპარტაკის“ კარში უოდლის მონაწილეობით გავიდა. პირველი გოლი 30-ე წუთზე პელემ გაიტანა, ხოლო მეორე ბურთი მეორე ტაიმის დასაწყისში — ბოლიმ.

ამ გოლებმა გარკვეულწილად დაუწყნარა ნერვები ფრანგ ფეხბურთელებს. მათ გამარჯვებაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა. ამის შემდეგ „მარსელმა“ „სპარტაკს“ რამდენიმე სახიფათო შეტევის განვითარების საშუალება მისცა. ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს მასპინძლებმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე შმაროვი წააქციეს და მოსტოვოიმ ზუსტად დაარტყა თერთმეტმეტრიანი. საბჭოთა ფეხბურთელებს ამის შემდეგ კიდევ ჰქონდათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ მატჩის ბედი უკვე კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო — 2:1.

ფინალში, 29 მაისს, ბარიში ერთმანეთს შეხვდებიან „მარსელი“ და „ცრვენა ზვეზდა“. მათ საშუალება აქვთ თავიანთ ისტორიაში პირველად გაიმარჯვონ ევროპის საკლუბო ტურნირში.

„იუვეს“ ამაო თავგანწირვა

რობერტო ბაჯო. მან ჩინებულად ითამაშა „იუვენტუსისა“ და „ბარსელონის“ საპასუხო ნახევარფინალურ შეხვედრაში და უდავოდ საუკეთესო იყო მინდორზე.

თასების თასის ფინალში, რომელიც 15 მაისს გაიმართება როტერდამში, ერთმანეთს შეხვდებიან ესპანეთის „ბარსელონა“ და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“. „ბარსელონა“ იტალიაში დამარცხდა „იუვენტუსთან“ (0:1), მაგრამ ორი მატჩის ჯამში აჯობა მას პირველ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვების წყალობით. ერთადერთი გოლი 61-ე წუთზე გაიტანა რობერტო ბაჯომ.

მთელი მატჩი „იუვენტუსის“ აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. „ბარსელონამ“ მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია წინააღმდეგობა მეტოქეს, როცა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ იტალიელებს გოლის გატანის გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ. „ბარსელონა“ მეკარე ანდონი სუბისარეტამ გადაარჩინა, რომელმაც რამდენიმე უძნელესი ბურთი აიღო.

მეორე ტაიმში „იუვენტუსმა“ კიდევ უფრო გააძლიერა დაწოლა მეტოქის კარზე, თანაც „ბარსელონა“ 10 ფეხბურთელით თამაშობდა: სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში ამორმა ზედიზედ ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. უნდა აღინიშნოს, რომ მსაჯის ეს გადაწყვეტილება არასწორი იყო; თამაშის წესი კუმანმა დაარღვია, მაგრამ მსაჯი შეცდა და ყვითელი ბარათი ამორს უჩვენა. ბარსელონელი ფეხბურთელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მსაჯს გადაწყვეტილება ვეღარ გადაათქმევინეს.

ამის შემდეგ, ესპანელი კომენტატორის თქმით, „ბარსელონისთვის“ ნამდვილი ჯოჯობეთი დაიწყო. გუნდი პანიკამ მოიცვა და სუბისარეტას ბრწყინვალე თამაში რომ არა, „იუვენტუსი“ კიდევ რამდენიმე გოლს გაიტანდა. თამაში საკმაოდ უხეში იყო და მსაჯმა ფეხბურთელებს 8 ყვითელი ბარათი უჩვენა: 6-ჯერ ესპანელებს და 2-ჯერ იტალიელებს. დროის გაყვანისათვის მსაჯმა გაფრთხილება მისცა მატჩის გმირს სუბისარეტას. მიმდინარე გათამაშებაში ეს სუბისარეტას მეორე გაფრთხილება აღმოჩნდა და იგი გამოტოვებს ფინალურ მატჩს.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და ვარშავის „ლეგია“. პოლონეთში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ „მანჩესტერს“ განმეორებით მატჩში თავი აღარ შეუწუხებია და ფრეს დასჯერდა (1:1). ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს — გოლი 29-ე წუთზე შარპმა გაიტანა. მეორე ტაიმში პოლონელები, რომლებსაც დასაკარგავი აღარაფერი ჰქონდათ, გამოცოცხლდნენ და მეტოქის კარს უფრო სახიფათოდ შეუტიეს. 57-ე წუთზე კოვალჩეკმა აღადგინა წონასწორობა. „მანჩესტერს“ საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ გასჭირვებია 1:1.

„რომა“, „ინტერი“...

ისევ იტალია!

უეფას თასის ფინალში ერთმანეთს იტალიის გუნდები შეხვდნენ. „ინტერმა“ ადვილად დაამარცხა „სპორტინგი“ 2:0. ორივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა — 15-ე წუთზე პორტუგალიელებმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე წააქციეს ბიანკი. პენალტი გერმანელმა მათეუსმა გამოიყენა. 35-ე წუთზე ლისაბონელთა მეკარე ივკოვიჩმა უხერხულად მოიგერია ბურთი და კლინსმანმა ზუსტად დაარტყა ცარიელ კარში. ამის შემდეგ ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში აღარ შეიცვალა.

„რომასა“ და „ბრონდბიუს“ შეხვედრაში ანგარიში 33-ე წუთზე გაიხსნა — ნელას მიერ შორი მანძილიდან დარტყმა დანიელთა მეკარემ მოიგერია, ბურთს დი მაურო დაუხვდა და რუჯერო რიციტელის გადაწოდა, რომელსაც ცარიელ კარში გოლის გატანა არ გასჭირვებია.

მეორე ტაიმში „ბრონდბიუმ“ ანგარიში გათანაბრა — 70-ე წუთზე გოლი საკუთარ კარში გაიტანა იტალიელმა ნელამ. ეს ანგარიში დანიელებს აძლევდა ხელს და იტალიელები ტოტალურ შეტევაზე გადავიდნენ. „რომა“ 88-ე წუთზე ფიოლერის ზუსტმა დარტყმამ გადაარჩინა.

უეფას თასის პირველი ფინალური მატჩი 8 მაისს მილანში გაიმართება, ხოლო საპასუხო შეხვედრა 22 მაისს — რომში.

გულს ნუ გაიტეხ, ბიორნ!

სახელგანთქმული შვედი ჩოგბურთელისთვის ბიორნ ბორგისთვის რვა წლის შესვენების შემდეგ კორტზე დაბრუნების ცდა უშედეგო გამოდგა. მონტე-კარლოს ღია ჩემპიონატის პირველსავე წრეში „დიდი შვედი“ დამარცხდა ესპანელ ხორდი არესესთან — 2:6, 3:6.

მიუხედავად ამ მარცხისა 34 წლის ბორგი გულგატეხილი არ გამოიყურებოდა. მან აღიარა: „ჩოგბურთში დაბრუნება ხანგრძლივი ტაიმ-აუტის შემდეგ, არც თუ ისე იოლი საქმე ყოფილა და მე რეალურად ვაფასებ მომხდარ ფაქტს“. ვეტერანის სიტყვებით, წლეულს, იგი კიდევ რამდენიმე დიდ ტურნირში აპირებს გამოსვლას. კერძოდ, მას დაგეგმილი აქვს საფრანგეთის ღია ჩემპიონატში და უიმბლდონის ტურნირში მონაწილეობის მიღება.

სად ითამაშებს „გაზა“?

ესაა გესქოინის პირველი ოფიციალური ფოტო „ტოტენჰემის“ ფორმაში

ინგლისის ცნობილი კლუბი „ტოტენჰემ ჰოთსპური“ დიდ გასაჭირშია: ამ განთქმული გუნდის ვალები 40 მილიონ დოლარს აღწევს. კლუბის ხელმძღვანელობამ, რაკი სხვა გამოსავალი ვერ დაინახა, გადაწყვიტა გაყიდოს ორი საუკეთესო ფეხბურთელი — იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის გმირები პოლ გესქოინი და გარი ლინეკერი. სპეციალისტების აზრით, საფეხბურთო ბაზარზე ორი ვარსკვლავის გაყიდვა „ტოტენჰემს“ 20 მილიონ დოლარზე მეტს მოუტანს.

კლუბის ხელმძღვანელობამ მაშინვე მიიღო წინადადებები იტალიის რამდენიმე გუნდისაგან, რომის „ლაციომ“ კი დაუყოვნებლივ დაუდო სამწლიანი კონტრაქტი პოლ გესქოინს, ინგლისის ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელს.

„ლაციოს“ გენერალურმა მენეჯერმა კარლო რეგალიმ ჟურნალისტებს აცნობა, რომ ამ კონტრაქტის გაუქმება კიდევ შეიძლება, თუ „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობა შესძლებს საჭირო თანხის მოგროვებას და კრიზისს თავს დააღწევს. რეგალიმ აღნიშნა, რომ კონტრაქტის ფინანსური მხარე შეთანხმებულია გესქოინის აგენტთან. ამ შეთანხმების მიხედვით, ინგლისელ ფეხბურთელს იტალიაში გადაუხდიან წელიწადში დაახლოებით 750 ათას დოლარს, „ტოტენჰემი“ კი 15 მილიონ დოლარს მიიღებს.

რომის კლუბის გადაწყვეტილებამ უზომოდ გაახარა და აღაფრთოვანა „ლაციოს“ გულშემატკივრები. ბოლო მატჩის დროს თავიანთ სტადიონზე მათ აღმართეს პლაკატები წარწერით „აბა, შენ იცი, გაზა!“ (ასე „მონათლეს“ გესქოინი). იტალიის სპორტულმა გაზეთმა „კორიერა დელო სპორტმა“ მოიწონა „ლაციოს“ არჩევანი, მაგრამ ზოგიერთი კრიტიკოსი ამ გარიგებას აშკარა თავშეკავებით შეხვდა. ფეხბურთის რამოდენიმე კომენტატორმა აღნიშნა, რომ წარსულში ინგლისელმა ფეხბურთელებმა მაინცდამაინც ვერ გამოიჩინეს თავი იტალიის ლიგაში. გაიხსენეს გესქოინის მძიმე ხასიათიც.

თუმცა, მას მერე რაც „ტოტენჰემი“ ინგლისის თასის ფინალში გავიდა, მისი ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდა და ლონდონელ ქომაგებს გესქოინის შენარჩუნების იმედი გაუჩნდათ.

ასეა თუ ისე, პოლ გესქოინის „საქმე ჯერ არ დახურულა“. ვის ღირსებას დაიცავს „გაზა“ მომავალ სეზონში? ვისი კერპი იქნება იგი, ლონდონელი „ფენებისა“ თუ რომაელი „ტიფოზების“?

ინგლისი

კვირას „უემბლის“ სტადიონზე გაიმართა ლიგის თასის ფინალური შეხვედრა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მეორე ლიგის „შეფილდ უენზდეი“. ინგლისელ მიმომხილველთა აზრით, „მანჩესტერის“ გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. გუნდმა პრაქტიკულად უკვე მოიპოვა ევროპის თასების თასის ფინალში თამაშის უფლება, ხოლო ინგლისის ლიგის თასის გათამაშებიდან ისეთი მრისხანე მეტოქეები გამოეთიშა, როგორიცაა „არსენალი“, „ლივერპული“ და „ლიდს იუნაიტედი“.

მაგრამ პროგნოზები არ გამართლდა: „შეფილდი“ მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებოდა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა — 1:0. ერთადერთი გოლი 38-ე წუთზე ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელმა ჯონ შერიდანმა გაიტანა. შეფილდელთა წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა მწვრთნელმა რონ ატკინსონმა, რომელიც წარსულში „მანჩესტერის“ მწვრთნელი იყო და გუნდიდან 1986 წელს გაათავისუფლეს.

ჩემპიონატში „ლივერპულმა“ პირველი მატჩი ჩაატარა ახალი მწვრთნელის გრემ სუნესის ხელმძღვანელობით. „ლივერპულმა“ მოუგო „ნორიჩ სიტის“ 3:0. გოლები გაიტანეს ბარნსმა, ჰაუტონმა და რაშმა. სხვაობა „ლივერპულსა“ და „არსენალს“ შორის სამ ქულამდე შემცირდა მას შემდეგ, რაც „არსენალმა“ ვერ მოახერხა შინ „მანჩესტერ სიტის“ დამარცხება 2:2, თუმცა წინ იყო, ანგარიშით 2:0.

„ნოტინგემ ფორესტმა“ დაამარცხა „ჩელსი“ — 7:0. 2-2 ბურთი გაიტანეს პირსმა და ჭინმა. „მანჩესტერ სიტიმ“ მოუგო „დერბი ქაუნთის“ 2:1. მატჩის გმირი „სიტისა“ და ირლანდიის ნაკრების თავდამსხმელი ნაილ ჭუინი იყო, რომელმაც ჯერ დააწინაურა თავისი გუნდი, „სიტის“ მეკარის მოედნიდან გაძევების შემდეგ კი კარში ჩადგა და თერთმეტმეტრიანი მოიგერია. ამ დამარცხებამ „დერბის“ ხალხს ლიგის დარჩენის თეორიული შესაძლებლობაც კი დააკარგვინა. კლუბის პრეზიდენტმა, ცნობილმა მაგნატმა რობერტ მაქსველმა განაცხადა, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ გაყიდის „დერბის“ ორ წამყვან ფეხბურთელს, ინგლისის ნაკრების მოთამაშეს რაითს და უელსის ნაკრების მოთამაშეს სონდერსს.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ასტონ ვილა“ — „უიმბლდონი“ 1:2, „კრისტალ პალასი“ — „ევერტონი“ 0:0, „ლუტონი“ — „სანდერლენდი“ 1:2, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ტოტენჰემ ჰოთსპური“ 2:2, „ჭუინზ პარკ რეინჯერსი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 2:0, „საუთჰემპტონი“ — „კოვენტრი“ 2:1.

„არსენალი“	34	21	12	1	63-16	73
„ლივერპული“	34	21	7	6	69-35	70
„კრისტალ პალასი“	35	18	9	8	44-38	63

ესპანეთი

მადრიდის „რეალმა“ ახალი უცხოელი ფეხბურთელი შეიძინა. „რეალმა“ 200 მილიონ პესეტად (დაახლოებით 2 მილიონ დოლარად) იყიდა არგენტინის „ფეროკარილ ოესტეს“ თავდამსხმელი ხუან ედუარდო შნაიდერი. 18 წლის შნაიდერი არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების წამყვანი ფეხბურთელია. იგი „რეალის“ შემადგენლობაში შეცვლის მექსიკელ უგო სანჩესს, რომელიც ტრავმის გამო კარგა ხანია აღარ თამაშობს, ხოლო სეზონის ბოლოს „რეალიდან“ წასვლას აპირებს. შნაიდერთან კლუბმა ხუთწლიანი კონტრაქტი დადო.

31-ე ტურში „რეალმა“ კვლავ წარმატებით თამაშობს და სტუმრად დაამარცხა „ბეტისი“ 3:1. მადრიდელთაგან გოლები გაიტანეს ბუტრაგენიომ და ბერომ (2), „ბეტისის“ ერთადერთი ბურთი კი თერთმეტმეტრიანი დარტყმით გავიდა (მელი). მოულოდნელი მარცხი განიცადა მადრიდის „ატლეტიკომ“, რომელმაც შინ წააგო ერთ-ერთ აუტსაიდერთან, „მალიორკასთან“ 0:1. გოლი 86-ე წუთზე კლაუდიომ გაიტანა. ამ დამარცხების შემდეგ „ატლეტიკო“ „ბარსელონას“ 7 ქულით ჩამორჩება და ჩემპიონობის მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობას ინარჩუნებს.

„ბარსელონამ“ შინ ადვილად დაამარცხა „სევილია“ 3:0 (გოიკოეჩეა, ამორი, სოლერი).

სხვა მატჩები: „ბურგოსი“ — „კასტელიონი“ 4:0, „სპორტინგი“ (ხიხონი) — „სარაგოსა“ 1:0, „ოსასუნა“ — „კადისი“ 1:1, „ატლეტიკი“ (ბილბაო) — „რეალი“ (სან-სებასტიანი) 2:1, „ტენერიფე“ — „ლოგრონიესი“ 0:0, „ვალიადოლიდი“ — „ოვიედო“ 1:0, „ვალენსია“ — „ესპანიოლი“ 2:0.

„ბარსელონა“	31	23	5	3	58-23	51
„ატლეტიკო“	31	16	12	3	47-16	44
„ოსასუნა“	31	13	11	7	36-27	37

იტალია

30-ე ტურში „სამპდორიამ“ შინ მოუგო „ბარის“ (3:2) და უახლოეს მდევარს უკვე სამი ქულით უსწრებს. გამარჯვებულთა მხრიდან გოლები გაიტანეს ვიერკოვოდმა, მანჩინიმ და ვიალიმ. „ინტერმა“ სტუმრად ფრედ (0:0) დაამთავრა მატჩი „ფიორენტინასთან“, ხოლო „მილანმა“ შინ ვერ მოახერხა „რომის“ დამარცხება — 1:1. „მილანის“ გამუდმებული შეტევები უშედეგოდ დამთავრდა, 87-ე წუთზე კი სტუმრების ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს რიციტელიმ წინ გაიყვანა „რომა“. „მილანმა“ მატჩის ბოლო წუთზე ანგარიში გაათანაბრა (აგოსტინი).

„სამპდორია“	30	18	9	3	48-20	45
„ინტერი“	30	16	10	4	52-26	42
„მილანი“	30	16	9	5	36-17	41

სხვა მატჩები: „ატალანტა“ — „პარმა“ 0:0, „კალიარი“ — „იუვენტუსი“ 0:0, „ჩეზენა“ — „ჯენოა“ 1:1, „ლაციო“ — „ნაპოლი“ 0:2, „ლეჩე“ — „ბოლონია“ 1:2, „ტორინო“ — „პიზა“ 1:0.

შემდეგ ტურში მეორე ადგილზე მყოფი „ინტერი“ ლიდერს, „სამპდორიას“ უმასპინძლებს.

ფეხბურთის რუქასთან

გერმანიის ჩემპიონატის 27-ე ტურში სამივე ლიდერმა ფრედ დაამთავრა შეხვედრა: „კაიზერსლაუტერნმა“ სტუმრად „შტუტგარტთან“ (2:2), „ვერდერმა“ შინ „კიოლნთან“ (2:2). 38 ქულა აქვს „კაიზერსლაუტერნს“, 35 — „ვერდერს“, 34 — „ბაიერს“.

ჰოლანდიაში მოულოდნელი მარცხი განიცადეს „ეინდჰოვენმა“ და „გრონინგენმა“. „ეინდჰოვენმა“ როტერდამში წააგო ადგილობრივ „სპარტასთან“ (0:1), ხოლო „გრონინგენმა“ ენსხედეში „ტვენტესთან“ (0:4). 25 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე კვლავ „ეინდჰოვენი“ — 39 ქულა. 37 ქულა აქვს „გრონინგენს“. „აიაქსმა“ 36 ქულა დაგროვა, მაგრამ ერთი თამაში ნაკლები აქვს ჩატარებული. ამ ტურში „აიაქსმა“ დამარცხა აუტსაიდერი „ჰეერენვეენი“ (4:0).

ბელგიის ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტურით ადრე „ანდერლეხტის“ გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევს. კვირას „ანდერლეხტმა“ შინ მოუგო „ბეერსხოტს“ 1:0. ჩემპიონობისთვის ბრძოლას პრაქტიკულად გამოეთიშა „გენტი“, რომელიც თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ლიდერობდა. „გენტმა“ შინ წააგო „მოლენბეეკთან“ 1:2. „ანდერლეხტს“ 48 ქულა აქვს, მეორე ადგილზე კი გადაინაცვლა „მეხელენმა“, რომელმაც 41 ქულა დაგროვა. „მეხელენმა“ სტუმრად მოუგო „ლიეჟს“ (2:0). „გენტი“ 43 ქულით შესამე ადგილზეა.

საფრანგეთში ლიდერმა „მარსელმა“ სტუმრად ფრედ (1:1) ითამაშა „რენთან“. „მონაკომ“ მოუგო „სოშოს“ (2:0), ხოლო „ოსერმა“ — „მეცს“ (3:1). 34 ტურის შემდეგ „მარსელს“ 48 ქულა და ერთი გამოტოვებული მატჩი აქვს, „მონაკოს“ — 46, ხოლო „ოსერს“ — 43.

პორტუგალიის ჩემპიონატის 33-ე ტურში „პორტუსა“ და „სპორტინგის“ შეხვედრა „პორტუს“ გამარჯვებით დამთავრდა (2:0). „ბენფიკამ“ დაამარცხა „ტირსენსე“ (5:0). ჩემპიონის ვინაობა „პორტუსა“ და „ბენფიკას“ შეხვედრაში გაირკვევა, რომელიც მომავალ კვირას გაიმართება. „ბენფიკას“ 60 ქულა აქვს, „პორტუს“ — 59. თასის მეოთხედფინალში „პორტუმ“ გათამაშებიდან გამოთიშა „ბენფიკა“ (2:1).

შოტლანდიის ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე „რეინჯერსი“ 2 ქულით უსწრებს „აბერდინს“. 33-ე ტურში „რეინჯერსმა“ სტუმრად მოუგო „სენტმირენს“ (1:0), ხოლო „აბერდინმა“ დაამარცხა „მაზერველი“ 3:0.

უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც ლონდონში გაიმართა, გადაწყდა მომავალი სეზონიდან ევროპის თასებზე დაუშვან ინგლისის „ლივერპული“. როგორც უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა განაცხადა, „ლივერპულმა“ უკვე მოიხადა სასჯელი და მიიღო ევროპაში თამაშის უფლება.

უეფას სააპელაციო კომიტეტმა განიხილა იტალიის „მილანის“ საჩივარი. როგორც ცნობილია, უეფამ „მილანს“ „მარსელთან“ შეხვედრაში მოედნის დატოვებისთვის ერთი წლით აუკრძალა ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის მიღება. ორსაათიანი განხილვის შემდეგ სააპელაციო კომიტეტმა დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება. ამრიგად, მომავალ სეზონში „მილანი“ ევროპის თასებზე არ ითამაშებს.

ესპანეთის ქალაქ მურსიას მინი-ფეხბურთის გუნდი ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას მოწვევას აპირებს. მარადონას 15 თვით აკრძალული აქვს ფეხბურთის თამაში, მაგრამ როგორც მურსიას გუნდის მესვეურები ვარაუდობენ, ეს აკრძალვა მინი-ფეხბურთზე არ ვრცელდება. მარადონას გადასახირებლად გუნდი მზადაა 200 მილიონი პესეტა გადიხადოს.

ევროპის ჩემპიონთა თასი ახალი სეზონიდან ახლებური სისტემით გათამაშდება! უეფა-ს აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა ექსპერიმენტის სახით შეჯიბრების არსებული ფორმულის შეცვლა. 8 მეოთხედფინალისტი გაიყოფა ორ ოთხგუნდიან ჯგუფად, ხოლო ამ ჯგუფებში გამარჯვებულნი ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. საწყის ეტაპებზე (ისევე, როგორც თასების თასისა და უეფას თასის გათამაშებებში) მონაწილეები ტრადიციული სქემით ისპარეზებენ.

ამ გადაწყვეტილების კომენტარი კთხოვეთ წარსულში თბილისის „დინამოს“ მოთამაშეს თენგიზ სულაქველიძეს: „ბუნებრივია, რომ უეფა-ს ეს გადაწყვეტილება კონსერვატორებსა და ნოვატორებს შორის დიდ კამათს გამოიწვევს. პირადად მე, ეს სიახლე არ მომწონს. თუმცა, საბოლოო დასკვნის გამოსატანად ტურნირი ასეთი სისტემით ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს. საერთოდ კი, ალბათ, როგორც ყველა მოვლენას, ამასაც აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე.

წითური, რომელიც არ მღეროდა

მატიას ზამერი, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა ადგილი გაერთიანებული გერმანიის ეროვნულ ნაკრებში.

მატიას ზამერი, ოცდასამი წლის წითურთმიანი ნახევარმცველი, პირველი აღმოსავლეთგერმანელი ფეხბურთელია, რომელიც გაერთიანებული გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგთსმა გუნდში შეიყვანა. ზამერი, ჟურნალისტთა დაკვირვებით, ერთადერთი გერმანელი იყო, ვინც შვეიცარიელებთან ისტორიული მატჩის წინ არც ტელეკამერებს უსწორებდა თვალს და არც ეროვნული ჰიმნის შესრულებისას მღეროდა თანაგუნდელებთან ერთად. თვით ფოგთსის აზრით სადებიუტო მატჩში ზამერმა თავისი პოტენციის მხოლოდ 60 პროცენტი გამოავლინა და იქვე დასძინა, რომ იცის რა შეუძლია ამ ფეხბურთელს სინამდვილეში. ბუნდესლიგის მწვრთნელთა უმრავლესობაც იმ აზრს იზიარებს, რომ „შტუტგარტის“ ამ მოთამაშეს დიდი კარიერა ელის.

მატიას ზამერი 1967 წლის სექტემბერში დაიბადა დრეზდენში. თამაში ადგილობრივი „დინამოს“ ბავშვთა გუნდში დაიწყო (ამავე კლუბში თამაშობდა, მერე კი მწვრთნელად მუშაობდა მისი მამა). მალე საყოველთაო ყურადღება მიიქცია და თვრამეტი წლისა გდრ-ის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა. „შტუტგარტში“ გადასვლამდე მან 102 შეხვედრა ჩაატარა „დინამოს“ შემადგენლობაში და 39 გოლი გაიტანა. 1989 წელს იგი დაეხმარა თავის გუნდს ჩემპიონობის მოპოვებაში, ერთი წლის მერე კი „დინამომ“ დუბლის გაკეთება შეძლო! გდრ-ის ნაკრებში ზამერმა 23 საერთაშორისო თამაშში მონაწილეობა მოასწრო და ექვსი გოლიც გაიტანა. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ, 1990 წლის ზაფხულში ზამერი ბუნდესლიგის ერთ—ერთმა წამყვანმა ავტორიტეტიანმა კლუბმა „შტუტგარტმა“ 1300000 დოლარად იყიდა. მისი კონტრაქტი „შტუტგარტთან“ 1992 წლამდეა ძალაში.

ახალ კლუბში გადასვლით ზამერის ცხოვრების დონეც საგრძნობლად გაუმჯობესდა. „დინამოში“ მას თვეში 1300 აღმოსავლურ მარკას უხდიდნენ, ახლა კი 30000 ბუნდესმარკას იღებს (დაახლოებით 18000 დოლარი). მატიასმა, თავის წარსულზე ლაპარაკისას, ნაღვლიანად აღნიშნა, რომ წუხს უფროსი თაობის ადამიანებზე, რომლებმაც ოთხ ათეულ წელიწადზე მეტი „კომუნისტურ სამოთხეში“ იცხოვრეს.

ინფორმაცია მოამზადა
დიმიტრი ჯგუბურიამ

III ეტაპი (28 აპრილი)

„იმოლა“

1990— რიკარდო პატრეზე (იტალია)
1989— აირტონ სენა (ბრაზილია)
1988— აირტონ სენა (ბრაზილია)
1987— ნაიჯელ მენსელი (ინგლისი)
1986— ალენ პროსტი (საფრანგეთი)



აპენინის ნახევარკუნძულზე მდებარე ჯუჯა სახელმწიფოს სან-მარინოს დიდი პრიზის გათამაშება წლეულს 21-ედ ჩატარდება. ცხადია, „ფორმულისთვის“ შესაფერი ავტოდრომის ასაგებად საჭირო ფართობი იქ არსად მოიძებნება. მიუხედავად ამისა, სანმარინოელთა სიყვარული ავტორბოლისადმი იმდენად დიდია, რომ ისინი ყოველწლიურად ქირაობენ დაახლოებით 200 კმ-ით დაშორებულ იტალიის პატარა ქალაქ იმოლას ავტოდრომს და იქ აწყობენ თავისი ქვეყნის დიდი პრიზის გათამაშებას. დინო და ენცო ფერარების სახელობის იმოლას ტრასა ერთ-ერთი ყველაზე გრძელი და სწრაფია მსოფლიოში. არც თუ ისე რთული პროფილის მქონე წრის სიგრძე 5,04 კმ-ს შეადგენს. აქ გამართულ რბოლებში სარეკორდო სიჩქარე — 209 კმ/სთ შარშანწინ აჩვენა ალენ პროსტმა „ფერარით“.

იმოლას წრეს პილოტები 61-ჯერ უვლიან გარს, რაც ჯამში 307,44 კმ-ს შეადგენს. სხვათა შორის, ეს ტრასა ერთადერთია ევროპაში, რომელზეც რბოლა მიმდინარეობს ამერიკის ავტოდრომების ანალოგიურად, საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ.

შარშანდელმა გამარჯვებულმა, ფორმულა-1-ის ვეტერანმა იტალიელმა რიკარდო პატრეზემ „უილიამსით“ მშობლიურ ტრასაზე რბოლის მოგებას ზუსტად საათნახევარი მოანდომა. სამაგიეროდ, ბედი არ წყალობს იტალიურ მონოპოსტებს — უკანასკნელად მათ აქ 8 წლის წინ გაიმარჯვეს.

სასწაული არ მოხდა

ევანდერ ჰოლიფილდი

ამერიკელმა ევანდერ ჰოლიფილდმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. 19 აპრილს მან უმძიმეს ორთაბრძოლაში ქულებით დაამარცხა თავისი თანამემამულე ჯორჯ ფორმენი.

ამ შეხვედრამდე, 16 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ატლანტიკსიტიში რომ გაიმართა, სპეციალისტების უმრავლესობა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა მსოფლიო ჩემპიონს, რომელიც პირველად იცავდა ამ წოდებას. განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ ერთ გარემოებას — დიდ სხვაობას მოკრივეთა ასაკში: 28 წლის ჰოლიფილდი 14 წლით უმცროსია ფორმენზე. ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თვით „დიდი მუჰამედ ალი“, რომელმაც მატჩის წინ ჟურნალისტებს განუცხადა:

„თუ ფორმენი ფიქრობს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებაზე, მაშინ მან ეს უნდა მოახერხოს ორთაბრძოლის პირველ ნახევარში. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ განახორციელებს თავის ოცნებას“.

როგორც ჩანს, ეს კარგად ესმოდა თვით ფორმენსაც. მან პირველივე რაუნდიდან თავგამეტებით შეუტია მეტოქეს. გამოირკვა, რომ ჰოლიფილდი მზად იყო ამ შეტევების მოგერიებისათვის, თუმცა რამდენიმე უძლიერესი დარტყმის აცილება ვერ მოახერხა. მე-7 რაუნდიდან ფორმენს დაღლილობა შეეტყო (გავიხსენოთ მუჰამედ ალის პროგნოზი) და ინიციატივა თანდათან ხელთ იგდო ჩემპიონმა, რომელიც მეტოქეზე 22,5 კილოგრამით ნაკლებს იწონის (ფორმენის წონაა 117 კგ.). მე-9 რაუნდში ფორმენი სასწაულად გადაურჩა ჰოლიფილდის უძლიერეს დარტყმებს. შემდგომში ჩემპიონი უფრო აქტიური იყო და 12-რაუნდიანი შეხვედრა მის სასარგებლოდ დამთავრდა, ამ გამარჯვებისათვის ევანდერმა 20. მილიონი დოლარი მიიღო. არც ჯორჯი უნდა დარჩენილიყო განაწყენებული — მას 12,5 მილიონი დოლარი გადაეცა. შეხვედრის შემდეგ ვეტერანმა მაღალი შეფასება მისცა ჰოლიფილდის ოსტატობას და აღიარა, რომ თვითონაც კმაყოფილია შეხვედრის შედეგით, თუმცა „სასწაული არ მოხდა“. რაც შეეხება ამ შეხვედრის ტექნიკურ შედეგს — სამივე მსაჯმა ჰოლიფილდს მიანიჭა გამარჯვება მცირე უპირატესობით — 116:111, 115:112, 117:110.

ახლა ევანდერ ჰოლიფილდი დაელოდება ახალ მოწინააღმდეგეს, რომლის ვინაობა გაირკვევა 28 ივნისს მაიკ ტაისონისა და დონოვან რადოკის განმეორებითი შეხვედრის შემდეგ.

მოჭიდავეთა საყურადღებოდ!

ოქტომბერში სტამბოლში გაიმართება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი ამ ქვეყნის პრეზიდენტის სახელობის თასზე. შეჯიბრების პრიზიორები შესაბამისად 3000, 2000 და 1000 დოლარით დაჯილდოვდებიან. სხვათა შორის, ბულგარეთის ქალაქ ვარნაში თითქმის იმავე პერიოდში მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება და ვინც იქ მედალს მოიპოვებს, იმ მოჭიდავეთა სტამბოლში ჩასაყვანად თურქეთი საგანგებოდ გაგზავნის თვითმფრინავს. თურქეთში ცნობილია ქართველი ფალავნების ძალა და ალბათ ღირს, ჩვენი ჭიდაობის მესვეურებმა მოსინჯონ ნიადაგი, იქნებ ჩვენებმაც (უძლიერესებმა მაინც) მიიღონ მონაწილეობა პრეზიდენტის თასის გათამაშებაში, მით უმეტეს, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის შერმეტიევის აეროპორტი კი არა, სარფის საბაჟოა.

მეფესთან — დაბადების დღეზე

1991 წელი ბელგიის მეფის ბოდუენის ბიოგრაფიაში განსაკუთრებულია. ქვეყნის პირველი მამაკაცი ერთდროულად ორ იუბილეს აღნიშნავს — დაბადების 60 და ტახტზე ასვლის 40 წლისთავს.

ბელგია ემზადება, რათა განსაკუთრებულად აღნიშნოს ეს ორი თარიღი. მეფე ბოდუენს, რომელიც სპორტის დიდი მოყვარულია, სურს, რომ დღესასწაული უფრო სანახაობრივი, მიმზიდველი და მასშტაბური იყოს. მისი თხოვნით საიუბილეო დღესასწაულები დაამთხვიეს საერთაშორისო შეჯიბრებას — კადეტთა მეორე ევროპულ თამაშებს. ასპარეზობას უმასპინძლებს 17-21 ივლისს ბრიუსელი და მასში მონაწილეობას მიიღებენ 16 წლამდე ასაკის სპორტსმენები კონტინენტის 34 ქვეყნიდან. ამ დღეებში ბელგიის დედაქალაქიდან ყველა ამ ქვეყანამ მიიღო შეტყობინება, რომ ნორჩ ათლეტთა ასპარეზობები ჩატარდება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და მეფე ბოდუენის უშუალო მფარველობით.

...კენჭს უყრის პრინცესა

ცხენოსანთა მეორე მსოფლიო თამაშები საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ჩატარდება. ეს გადაწყვეტილება მიიღო საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფეი) გენერალური ასამბლეის სხდომამ, რომელიც ტოკიოში შედგა.

შარშან სტოკჰოლმში გამართულ პირველ მსოფლიო თამაშებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სწორედ ამიტომ გადაწყდა ასეთივე დღესასწაულების მოწყობა. ცხენოსნობის საუკეთესო წარმომადგენელთა მონაწილეობით ოთხ წელიწადში ერთხელ. ამასთან, 1994 წლიდან თამაშების პროგრამით მსოფლიო ჩემპიონატები ჩატარდება ფეი-ს მიერ აღიარებულ ექვსივე დისციპლინაში: ცხენის კლასიკურ გახედვნაში, კონკურში, სამჭიდში, დოღში, ეტლებით რბოლასა და ვოლტიჟირებაში.

ცხენოსანთა 1994 წლის მსოფლიო თამაშების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად პარიზს სერიოზული კონკურენციის დაძლევა მოუხდა. კონკურსში მონაწილეობდა კიდევ სამი ქალაქი: ჰაგა (ჰოლანდია), ლექსინგტონი (აშშ) და ექს-ლეშაპელი (გერმანია). საიდუმლო კენჭისყრას ხელმძღვანელობდა ფეი-ს პრეზიდენტი პრინცესა ანა, რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა მამამისი — უელსის პრინცი, დიდი ბრიტანეთის დედოფლის მეუღლე.

დაუბრუნდება კრისტიანი თოვლიან ტრასებს?

იტალიელ მოთხილამურეთა ახალი კერპი, 21 წლის კრისტიან იდინა კორტინა დ'ამპეცოდან, რომელმაც ვერცხლის მედალი დაისაკუთრა 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ორჭიდში (სლალომი და სწრაფდაშვება) კატასტროფაში მოყვა საკუთარი ავტომანქანით. საავადმყოფოში კრისტიანი კრიტიკულ მდგომარეობაში მიიყვანეს. ექიმებმა დაადგინეს, რომ მას ჰქონდა თავის ქალისა და მარცხენა ყურის ტრავმა, დაზიანებული იყო აგრეთვე წარბის ზედა ძვალი, მარცხენა ლავიწის ძვალი — მოტეხილი. ექიმები მთელი დღე-ღამის მანძილზე იბრძოდნენ მისი სიცოცხლის გადასარჩენად. შემდეგ მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა, მაგრამ ექიმების აზრით, საბოლოოდ რაიმე სასიკეთო პროგნოზის გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ კრისტიან იდინა საბოლოოდ გამოჯანმრთელდება, მისი, როგორც სამთომოთხილამურის, შემდგომი სპორტული კარიერა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

ხომ არ შეეშინდათ?

შარშან ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსცადეს სპორტსმენთა სადოპინგო შემოწმების ახალი და, ზოგის აზრით, მეტად ეფექტური საშუალება, ე.წ. სტეროიდული პროფილი. მის დანერგვას რეკომენდაცია მისცა ამ საქმის ცნობილმა სპეციალისტმა, გერმანელმა მანფრედ დონიკემ, რომელიც ამტკიცებს, რომ ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა აღმოაჩინონ ათლეტის გასინჯვამდე ბევრად ადრე მიღებული აკრძალული პრეპარატის კვალი. ახლა იმაზე კამათობენ, აღნიშნული სიახლე სადოპინგო შემოწმების ძირითად მეთოდად მიიღონ, თუ დამხმარედ. საბჭოთა მეცნიერები აქტიურად უჭერენ მხარს მეორე ვარიანტს.

აქეთური, იქითური...

ბურგი გერმანიის მეხუთე ქალაქია ფელენსბურგის, კიელის, ლიუბეკისა და როსტოკის შემდეგ, რომელმაც საკუთარი გამოთქვა ოლიმპიურ რეგატას უმასპინძლოს, თუ 2000 წლის თამაშები ბერლინში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ ბურგი ბალტიის ზღვაში, კუნძულ ფემარტზე მდებარეობს.

■ ■ ■

ზამთრის პანამერიკული თამაშები ზედიზედ მეორედ ჩატარდება კონტინენტის სამხრეთში. 1993 წელს ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის ამ მეტად პრესტიჟულ ასპარეზობას ჩილე უმასპინძლებს, რომელსაც საკმარისი ფინანსური შესაძლებლობებიც აქვს და შესაბამისი სპორტული ნაგებობებიც. პირველი თამაშები არგენტინაში, ლასლენასში ჩატარდა.

■ ■ ■

გერმანიის ცნობილ საავტომობილო კონცერნს „მერსედესს“ განზრახული აქვს კვლავ დაუბრუნდეს მთელ მსოფლიოში უპობულარეს ასპარეზობას ფორმულა-1-ს. ხსენებული ფირმის გუნდმა ორჯერ მოიგო ეს შეჯიბრება (1954 და 1955 წლებში), მაგრამ მას შემდეგ, რაც რბოლის დროს ერთ-ერთი სპორტსმენი დაეღუპა, მიატოვა ტურნირი.

■ ■ ■

ჰელსინკში მიმდინარე დიდი საერთაშორისო ტურნირის — „ჯი-ბის“ ერთ-ერთი მონაწილე, კუბელი მძიმეწონასანი მოკრივე ხორხე გონსალესი გახურებული შეჯიბრების დროს მოულოდნელად სადღაც გაქრა. როგორც შემდგომ გამოირკვა, პანამერიკული თამაშების ორგზის ჩემპიონი ნახევარფინალური ბრძოლის წინ სასტუმროდან გაიქცა და ალარ დაბრუნებულა.

■ ■ ■

ჩინეთის დედაქალაქი, პეკინი, რომლის მოსახლეობამ მილიარდს გადაჭარბა, აპირებს თავისი კანდიდატურის წამოყენებას 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად. აქ შეიქმნა XXVII ოლიმპიადისადმი მზადების ჩინეთის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ფართო პროპაგანდას გაუწევს თავის ქვეყანას.

■ ■ ■

პოლონეთის საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბ „ვისლას“ ხელმძღვანელობამ სტადიონებზე ვანდალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გადაწყვიტა დასახმარებლად მიმართოს... სანდვედლოებას. ამისათვის ბილეთების ნაწილი უფასოდ დაურიგდებათ სასულიერო პირებს, რომლებმაც, კლუბის ხელმძღვანელთა აზრით, დამშვიდებლად უნდა იმოქმედონ სტადიონზე მისული ჰოტენციურ ხულიგნებზე.

■ ■ ■

ირლანდიელ ნოელ ფურლონგს შეუძლია იამაყოს თავისი ცოლით. ქალაქ ჩელტენჰემში გამართულ დიდი ბრიტანეთის პროფესიონალ ფოკეისტთა დოღში მან ცოლის კუთვნილი ცხენის გამარჯვება იწინასწარმეტყველა. ვარაუდმა გაამართლა და ფურლონგმა სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი (5,5 მილიონი ამერიკული დოლარი) მოიგო.

■ ■ ■

ბერლინი მზად არის ფინანსური დახმარება გაუწიოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, თუ 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლად ამ ქალაქს აირჩევენ. ამ შემთხვევაში, 1991 წლიდან დაწყებული, სოკ-ის ფონდში ყოველწლიურად გადაირიცხება 1 მილიონი მარკა (670 ათასი დოლარი). ეს განაცხადა ბერლინის მერმა ებერჰარდ დიბგენმა.

აქეთური, იქითური...

„სარბიელის“ სპონსორია კოოპერატივი „ფრანსკავშირი“

გამოდის პარასკევობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380060, ცაგერის ქ. №6, ბ.30.
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.
ტელეფონი: 38-39-93.

გაზეთი აწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ძსს გამოთვლითი ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ძორძია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ფულეშხაძე.